პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქ. კ. პ. ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივნის 10—56

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible] ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 3—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 30 სექტემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 224 (1379)

დღიური

- — დღეს იხსნება ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა.
- — დამთავრდა პარიზის რაიონის ძალთა ყრილობა.
- — საფრანგეთის კომპარტიამ პარიზში დაარსა მუშათა და გლეხთა ბანკი.
- — ჩეხო-სლოვაკიის დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია შეუერთდა კომპარტიას.
- — ჩინეთი მოითხოვს იმპერიალისტურ სახელმწიფოებისაგან სრულ საბაჟო ავტონომიას.

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა
ოქტომბრისათვის

კანტორა.—რუსთ. პრ. № **24.** მეორე სართული.

დღეს, დილის 10 საათზე შესდგება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის და სახალხო კომისართა საბჭოს
შეერთებული სხდომა

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა

ცაკის მდივანი **ს. თოდრია.**

პარტიის საორგანიზაციო მუშაობის საკითხები

ამ დღეებში დაიწყო მუშაობა საქ. კ. პ. სამაზრო და საოლქო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირმა.

ეს თათბირი მით არის მნიშვნელოვანი, რომ ის შესდგა სწორედ იმ დროს, როდესაც პარტიის წინაშე მეტად რთული და ახალი ამოცანებია წამოჭრილი. საბჭოებში კომფრაქციების ჩამოყალიბება და მათი მუშაობის გამოცხოველება, საბჭოთა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე პარტხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, მუშების და გლეხების საპასუხისმგებლო თანამდებობებზე წამოყენება, პარტამხანაგების ზედმეტი სამუშაოებისაგან განტვირთვა, კანდიდატების პარტიაში გადარიცხვა, საინსტრუქტორო აპარატის გაჯანსაღება, კომკავშირის და ქალთა შორის მუშაობაში პარტიული გავლენის განმტკიცება, პარტდისციპლინის თავის სიმაღლეზე დაყენება,—აი ის საჭიროროტო ხასიათის საკითხები, რომლებიც წარმოადგენდენ თათბირის მუშაობის უმთავრეს საგანს.

ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ სოფლად [illegible] გვაქვს. გამოირკვა ისიც, რომ ადგილებზე მომუშავე კომუნისტების მიერ პარტიის ახალი კურსის შეთვისების და პარტმუშაობაში ახალ ორგანიზაციულ ფორმებზე გადასვლის მხრით ჩვენ ჯერ კიდევ საგრძნობლად მოვისუსტებთ.

აქ საჭიროთ მიგვაჩნია შევჩერდეთ რამოდენიმე საკითხზე, რომლებსაც თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.

პირველი—ორგანიზაციის მოწესრიგების საკითხი.

როგორც ვიცით, მე-14 პარტკონფერენციამ წამოაყენა ამოცანა პარტიის რიგების შევსების და გაფართოების შესახებ. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ პარტიის შემდგომი ზრდა უნდა მოხდეს როგორც დაზგასთან მდგომ, წარმოებაში უშუალოდ ჩაბმულ მუშა და მუშა-ქალთა ხარჯზე, ისე სოფლის მოჯამაგირეების, ღარიბი გლეხების და საშუალო გლეხების საუკეთესო ნაწილის ხარჯზედაც.

მაგრამ ტარდება წარმატებით პარტიის უმაღლეს ორგანოს ეს დადგენილება? უნდა ვსთქვათ, რომ—არა. განსაკუთრებით სოფლად ამ მხრივ ყველაფერი არ არის რიგზე. მაზრებში უმრავლეს შემთხვევაში ასეთ არანორმალურ მოვლენებს აქვთ ადგილი: ძალზე მოისუსტებს ახალი წევრების პარტიაში მიღება; მრავლადაა ისეთი შემთხვევები, როდესაც ჩვენს უჯრედებში კანდიდატების რიცხვი სჭარბობს პარტიის ნამდვილ წევრთა რიცხვს; ჩვენში მოიპოვება ისეთი ადგილები, სადაც ამა თუ იმ ამხანაგს რამოდენიმე, 3-4 წლის საკანდიდატო სტაჟი აქვს და მას ვერ ღირსებია და ვერა პარტიაში გადასვლა, და, დასასრულ, კომკავშირელთა პარტიაში გადარიცხვის ტემპიც კომკავშირის რიცხვობრივ ზრდასთან შეფარდებით ძალიან ნელია.

სამწუხაროდ, ამას ადგილობრივად ჩვენი ქვედა ორგანიზაციები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას, რადგან სამაზრო და საოლქო კომიტეტების ხელმძღვანელობა მათზე მოისუსტებს. მომავალში აუცილებლად საჭიროა, რათა სამაზრკომების საორგანიზაციო განყოფილებები უფრო სერიოზულათ მოეპყრან პარტიაში ახალი წევრების მიღების და კანდიდატების გადარიცხვის საქმეს. ამასთანავე ერთად მათ კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ გადარიცხვამ არას შემთხვევაში არ უნდა მიიღოს არც კამპანიის და არც მექანიკური ხასიათი. მათ კარგად უნდა დაიხსომონ პარტიის უმაღლეს ორგანოს დადგენილებაც, რომლის ძალით სოფლის გლეხკაცობას უმსუბუქებდა პარტიაში მიღების ფორმალური პირობები.

მეორე საკითხი, რომელიც ჩვენგან მოითხოვს ჯეროვან ყურადღებას, არის როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მუშების და გლეხების წამოწევა და ჩაბმა სახელმწიფოებრივ ორგანოებში და საზოგადოებრივ საორგანიზაციო ორგანოებში. ამ საკითხს ჯერ კიდევ პარტიის მე-13 ყრილობამ მიაქცია დიდი სერიოზული ყურადღება და მის შესახებ გამოიტანა სპეციალური დადგენილებაც. უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით მუშური უჯრედებიდან მუშების წამოყენების პრაქტიკამ დაგვიმტკიცა, რომ ეს ამხანაგები, სრულიად უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, სავსებით შეეთვისენ ახალ მუშაობის პირობებს, რამაც განამტკიცა სათანადო ორგანოების კავშირი მუშების და გლეხების მასებთან და მოხდა ამ ორგანოების შევსებაც ახალი ძალებით.

მაგრამ, პარტიის ახალი წევრების და უპარტიო მუშების და გლეხების საპასუხისმგებლო თანამდებობებზე წამოყენების მხრივ ჩვენ გვაქვს აგრეთვე მთელი რიგი ნაკლულოვანებისა: პირველი ის, რომ ამ წამოყენებას არა აქვს სისტემატიური ხასიათი, მეორე—არა ჯეროვანი ყურადღება ექცევა იმ ამხანაგების წინასწარ მომზადებას, რომელთა წამოყენება განზრახულია და, დასასრულ, საგრძნობლად მოისუსტებს მუშა და გლეხ-ქალების წამოყენების საქმეც საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. აი, ამ არანორმალურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად უნდა წარიმართოს ჩვენი სამაზრკომების და კერძოთ მათ საორგანიზაციო განყოფილებათა მუშაობა. ხოლო ამ მუშაობის დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს და სათანადო ზომებიც უნდა მივიღოთ, რომ ამა თუ იმ სამაზრო ან ცენტრალურ ორგანოებში სამუშაოთ წამოყენებულმა გლეხებმა არ გასწყვიტონ კავშირი თავიანთ სოფლებთან, ეს ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ უნდა ვერიდოთ წამოყენებულ ამხანაგების ერთი სამუშაოდან მეორე სამუშაოზე ხშირ-ხშირ გადაყვანას, რათა ამით მათ მივსცეთ შესაძლებლობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში კარგად გაეცნონ საქმეს.

მესამე საკითხი, რომელიც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, არის ის, რომ პარტიული აქტივი ზედმეტად დატვირთულია და საჭიროა მისი მრავალ სამუშაოებისაგან განტვირთვა. ჩვენმა აქტივმა კარგად იცის, თუ როგორ უნდა იმუშაოს თვითონ, მაგრამ როგორ გამოიყენოს მუშაობაში პარტიის ფართე მასსა—ეს კი არ იცის. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ პარტიული და კომკავშირული აქტივი ჩაბმულია 8-10 სხვადასხვა კომისიების და ორგანიზაციების მუშაობაში იმ დროს, როდესაც პარტიის დანარჩენი წევრები თითქმის სრულებით განტვირთული არიან მოვალეობებისაგან.

კარგად უნდა ვიცოდეთ, თუ პარტიის ფართე მასები აქტიურად არ იქნენ ჩაბმული უჯრედების პრაქტიკულ მუშაობაში, თუ პარტიის ყველა წევრთა შორის არ მოხდა პარტმოვალეობათა მიზანშეწონილი განაწილება, თუ აქტივში არ აღმოიფხვრა ის უსაფუძვლო შიშიც, რომელიც მეტად ხელს უშლის მას თავისი მუშაობა გაუნაწილოს სხვა ამხანაგებსაც,—საკითხი განტვირთვის შესახებ სათანადოთ ვერ გადაიჭრება.

ეხლა ორიოდე სიტყვა სათემო სისტემის შესახებ. როგორც ვიცით, საბჭოთა ხაზით ჩვენ უკვე დიდი ხანია გადავედით სათემო სისტემაზე. პარტიული ხაზით კი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სამ მაზრას, ჯერ-ჯერობით ისევ დარჩენილია რაიონული სისტემა. ეს, რასაკვირველია, არანორმალური მოვლენაა. რომ საბჭოთა მუშაობაზე გაძლიერდეს პარტიული ხელმძღვანელობა, რომ თვით სოფლის უჯრედებშიაც შევიტანოთ სიცხოველე და უფრო მჭიდროთ დავუახლოვდეთ როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მასას,—აუცილებლად საჭიროა სათემო სისტემაზე გადასვლა. ცხადია, აქ მხედველობაში უნდა იქნას ზოგიერთი მაზრების სპეციფიური პირობები და აგრეთვე ამა თუ იმ თემში უჯრედების სიმცირეც, რაც ხელს გვიშლის გადავიდეთ სათემო სისტემაზე.

თათბირი დაწვრილებით შეჩერდება თვითეულ ამ საკითხზე და წარსულში მიღებულ გამოცდილებათა მიხედვით კიდეც დასახავს ახალ კონკრეტულ ღონისძიებებს.

საგამომძიებლო ორგანოების შესახებ

რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების საქმეში დიდ როლს თამაშობენ საგამომძიებლო ორგანოები. თუ გამომძიებელთა პირადი შემადგენლობა არ ვარგა, აშკარაა მაშინ რევოლიუციონურ კანონიერებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. წინასწარი გამოძიებით დაგროვილი მამხილებელი მასალებით ხელმძღვანელობენ ჩვენი სასამართლოები. ამ მასალებიდან გამომძიებლის მიერ შედგენილი და პროკურატურის მიერ დამტკიცებული საბრალმდებლო დასკვნა არის ის ხერხემალი, რომელსაც სასამართლომ უნდა შეასხას სისხლი და ხორცი. მაშასადამე ნებსით თუ უნებლიეთ ცუდათ გამოძიებული საქმე ხშირად სასამართლოებსაც აბნევს და აყენებს უხერხულ მდგომარეობაში. ამავე მიზეზით შეიძლება ბევრი დამნაშავე გადარჩეს მოსალოდნელ დასჯას და ბევრმაც უმართებულოთ მოიხადოს სასჯელი.

გამომძიებელს შეუძლია საქმე ობიექტიურათ გამოიძიოს და მით სასამართლოს უტყუარი ფაქტები მისცეს ხელში, და შეუძლია წინასწარი გამოძიება ტენდენციურათ (მიკერძოებით) წარმართოს და საქმე სრულიად დაღუპოს. გამომძიებელი მოახერხებს სხვადასხვა „საპატიო მიზეზებით“, ბოროტი განზრახვით, პირადი სარგებლიანობის მიზნით სასწრაფოთ გამოსაძიებელი საქმე გააჭიანუროს, მიჩქმალოს, დაამძიმოს და მით მას დაუკარგოს ყოველივე მნიშვნელობა.

ყველა ამ მოსალოდნელ უარყოფით მოვლენათა თავიდან ასაცილებლად ფხიზლათ უნდა იყოს პროკურატურა, პროკურორის თანაშემწენი ყოველდღიურათ უნდა უთვალყურებდენ გამომძიებლების მუშაობას. უნდა აფასებდენ გამომძიებლის პირად თვისებებს, მის ყოფა-ცხოვრებას. ერთი სიტყვით, პიროვნება ისე სრულად უნდა ჰყავდეს შესწავლილი, როგორც კარგ მასწავლებელს მოწაფე. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ჩვენი რევოლიუციონური კანონიერება შეიბღალება და პროკურატურაც ველარ ისარგებლებს იმ ავტორიტეტით, რომლითაც ის აუცილებლად უნდა სარგებლობდეს.

ზემონათქვამიდან ნათლად სჩანს, თუ როგორი ფრთხილი უნდა ვიყოთ გამომძიებელთა პირად შემადგენლობის შერჩევის დროს. ჩვენ არ ვამბობთ თითქოს დღეს შეუფერებელი გამომძიებლები გვყავდეს. არა! ასეთის საბუთები ჯერ-ჯერობით ჩვენს ხელთ არ არის, მაგრამ საერთოდ, რომ ამ მხრით საქმე ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ არის მოგვარებული,—ეს აშკარაა. შემჩნეულია გამომძიებლის მოუმზადებლობა, საქმის არცოდნა, უგეგმოდ მუშაობა, რაც უდიდესად საჭიროა წინასწარი გამოძიების წარმოების დროს, და, რაც უმთავრესია, გამოძიების გაჭიანურებასაც აქვს ადგილი.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი ყოველივე ზომებს იღებს აღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, მარტო კომისარიატი ამ მხრით დიდს ვერაფერს გახდება. საგამომძიებლო ორგანოების გაჯანსაღება, იქიდან უღირსი ელემენტების დაუყოვნებლივ ერთი დაკვრით მოუხერხებელია. აქ საჭიროა სისტემატიური და წინდახედული მუშაობა. საჭიროა ახალი კადრის შექმნა, პროლეტარულ-რევოლიუციონური იდეებით გაჟღენთილი ახალი პირების წამოყენება. ეს შეიძლება ჩვენი პარტიული ორგანოების უშუალო დახმარებით. პარტიამ ამ მიზნით უნდა გამოყოს ავტორიტეტული პარტიული ამხანაგები, რომლებიც საჭირო გამოცდილებას მიიღებენ იუსტიციის კომისარიატის ხელმძღვანელობით.

ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს საგამომძიებლო ორგანოებში აუცილებლად ყველა პარტიულები უნდა იყვნენ. სრულიადაც არა. ჩვენ დღესაც გვყავს ზოგიერთი ძველი გამომძიებლები, რომლებიც სინდისიერად და პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. აი, სწო რედ ამ უკანასკნელების დახმარებით უნდა მოვამზადოთ ახალი კადრი, რომელიც დაიჭერს იმ ულირს გამომძიებელთა ადგილს, რომლებიც აქა-იქ კიდევ შეიძლება დარჩენილი იყვნენ საგამომძიებლო ორგანოებში და ძველებურად—„ჩინოვნიკურად“ განაგრძობენ „მუშაობას“.

საერთოდ იუსტიციის მომავალ მუშაკების კადრის შესაქმნელად კიდევ უფრო მეტად უნდა დავფიქრდეთ. ერთხელ კიდევ უნდა მიიღოს ზომები როგორც ჩვენმა ხელმძღვანელმა—პარტიულმა ორგანომ, ისე იუსტიციის სახალხო კომისარიატმა.

რევოლიუციონური კანონის განმტკიცება მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როცა მას მთელი ასი პროცენტით ღირსეული გამტარებელი ეყოლება.

თ. დოლიძე.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საბჭოთა კონსულმა ხარბინში მოსთხოვა ჩინეთის ხელისუფლებას ბოლო მოუღოს თეთრგვარდიელთა ჭორებისა და ცილისწამების კამპანიას

პოლონეთის პრესა ძლიერ კმაყოფილია ამხ. ჩიჩერინის ჩასვლით ვარშავაში

მოსკოვში ჩავიდა ჩინეთის სამხედრო დელეგაცია

საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაცია ბრუნდება იაპონიიდან.—მოსკოვში ჩავიდა მონღოლეთის წარმომადგენელი.

ჭორებისა და ცილისწამების კამპანიის წინააღმდეგ

ხარბინის საბჭოთა კონსულის გრანდტის პროტესტი

ხარბინი, 28 სექტემბერი. ბურლაკოვის დაპატიმრების გამო, თეთრგვარდიელებმა გააჩაღეს კამპანია საბჭოთა კავშირის მთავრობის წინააღმდეგ. ამის გამო საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა ხარბინში 25 სექტემბერს მიმართა გირინ-ხენძიაის ჩინელ გუბერნატორს და ჩინეთის მთავრობის დიპლომატიურ კომისარს ხარბინში შემდეგი ნოტით:

„ამას წინად სად. პოგრანიჩნაიაზე ვინმე ბურლაკოვის დაპატიმრების გამო, ადგილობრივი პრესის ნაწილი უკანასკნელი დღეების განმავლობაში ეწევა ჭორების და ცილისწამების პროვოკაციულ კამპანიას საბჭოთა კავშირის მთავრობის და მისი დიპლომატიური წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩინეთში.

20 სექტემბერს ადგილობრივმა გაზეთებმა „ზარია“-მ და „რუპორ“-მა დაბეჭდეს პირველად ცნობები ბურლაკოვის დაპატიმრების შესახებ. ამ ცნობებში გადაჭრით ამტკიცებდენ, თითქოს ბურლიკოვი იყო დიპლომატიური კურიერი, ჩამოვიდა პოგრანიჩნაიაზე საგანგებო დანიშნულების სპეციალურ ვაგონით № 203 და მოჰქონდა დიპლომატიურ ფოსტის სახით ასაფეთქებელი ნივთიერებანი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მეორე დიპლომატიური კურიერი დაიმალა სად. პოგრანიჩნაიას შენობაში. მიუხედავათ იმისა, რომ [illegible] ცია სრულ სიყალბეს და პროვოკაციას წარმოადგენს, გაზეთები სწერდენ, რომ ეს ცნობები მიღებულია რკინისგზის პოლიციის ოფიციალურ წრეებიდანო. ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს არ მიუღიათ არავითარი ზომები, რომ ძირშივე აღმოეფხვრათ ეს საძაგელი კამპანია. სენსაციური, აშკარად შეთხზული ცნობები გადაბეჭდა მთელმა ბულვარულმა პრესამ. ამ საკითხის გარშემო ასტყდა ერთი განგაში, დაიწყო უმზგავსო და თავხედური გალაშქრება საბჭოთა ხელისუფლების და საბჭოთა საკონსულო დაწესებულებების წინააღმდეგ ჩინეთში.

ოფიციალური შეკითხვიდან გამოირკვა, რომ არავითარი დიპლომატიური კურიერი სად. პოგრანიჩნაიაზე არ ყოფილა, არავითარი საიდუმლო დიპლომატიური ბარგი არ დაუჭერიათ, არავინ საბჭოთა საკონსულოს შენობაში სად. პოგრანიჩნაიაზე არ დამალულა, და, დაბოლოს, არავითარი საგანგებო დანიშნულების ვაგონი არ ყოფილა. მითიური ციფრი, „№ 203“ ეკუთვნის მეორე კლასის ჩვეულებრივ ვაგონს, რომელიც მოჰყვა უსურიის რკინის გზის მატარებელს და იმავე მატარებელს გაჰყვა უკან მეორე დღესვე, ამ ვაგონში იყო გამყოლი ვინმე ჟუკოვსკი. ჟუკოვსკი ბულვარულმა პრესამ „მონათლა“ დიპლომატიურ კურიერად.

როცა საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა ხარბინში ადგილობრივ გაზეთებში მოათავსა განმარტება, რომელიც ცხადჰყოფდა ამ ცნობების სიყალბეს, ჭორიკანა გაზეთებმა გადასწყვიტეს ამოფარებოდენ ჩინეთის უმაღლეს ხელისუფლების და დაწესებულებების ავტორიტეტს, დაიმოწმეს ისინი და თითქმის ერთხმად, ერთი და იგივე სიტყვებით დაიწყეს მტკიცება, რომ ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლები არსებითად დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ იმ გარემოებას, რომ ბურლაკოვს არ ჰქონდა დიპლომატიური კურიერობის მოწმობა და რომ ხელისუფლებას მოეპოვება ცნობები, რომელიც ამტკიცებს, რომ ის იყო დიპლომატიური კურიერიო, როგორც სწერდა „რუსკი გოლოსი“.

ამავე დროს გაზეთები ცდილობენ კვლავ გამოძებნონ სენსაციური „დაწვრილებითი ცნობები“, რითაც მიზნად ისახავენ იმის დამტკიცებას, რომ სად. პოგრანიჩნაიაზე დაპატიმრებულ პირებს კავშირი ჰქონდათ საბჭოთა საკონსულოსთან, კერძოდ საბჭოთა კავშირის გენერალურ კონსულთან ხარბინში გრანდტთან. გაზეთებმა „ზარია“-მ, „ვოსტოკ“-მა, „რუსკი გოლოს“-მა, „რუპორ“-მა და „კოპეიკა“-მ მოათავსეს ცნობა, თითქოს საბუთებით დამტკიცებულიყოს ის ფაქტი, რომ გრანდტის განკარგულებით დაპატიმრებულ ბურლაკოვს მიეცა უფასო სამგზავრო ბილეთი. ამ ცნობის სიყალბეს და უაზრობას ოფიციალურად ამტკიცებენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის სამმართველოს კანცელიარიის ცნობები“.

შემდეგ ნოტაში ნათქვამია:

„მინამდე, სანამ მოსყიდული გაზეთები არ მიიღებენ ბრძანებას ამ კამპანიის შეწყვეტის შესახებ ჩემთვის უცნობ, მაგრამ, უსათუოდ, მათ ზურგს უკან მდგომ წრეებისაგან, ისინი აღმოაჩენენ კიდევ ახალ-ახალ „ფაქტებს“, რომლებითაც სურთ დააბრალონ საბჭოთა საკონსულოებს ჩინეთში კავშირი საეჭვო პირებთან, რომლებიც ეზიდებიან ასაფეთქებელ ნივთიერებას. მიუხედავათ იმისა, რომ ეს კამპანია გრძელდება რამოდენიმე დღე, მიუხედავათ იმისა, რომ ამ კამპანიის გასამართლებლად გაზეთები ეფარებიან ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლთა ავტორიტეტს, უკანასკნელები არ ერევიან ამ ცილისწამების კამპანიაში, რაც [illegible] თვალში, თითქოს ეს ჭორები სიმართლეს წარმოადგენენ.

ასეთი კამპანია მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენლობათა წინააღმდეგ მონარქისტულ ბულვარულ გაზეთების მხრივ, უსათუოდ, ძირშივე აღმოიფხვრებოდა თვითეულ სახელმწიფოში. მით უფრო ჩვენ უფლება გვაქვს ველოდოთ ამას აღმოსავლეთის პროვინციების განსაკუთრებულ რაიონში, სადაც არა ერთხელ ჰქონია ადგილი უსასტიკეს რეპრესიებს გაზეთების მიმართ ცნობების გადამეტებისათვის, რათა ამას არ გამოეწვია გართულება ურთიერთობაში რომელიმე სახელმწიფოსთან.

ამ კამპანიის შეწყვეტის მაგიერ, ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავისი პოლიტიკით ამ საკითხში საშუალება მისცეს გაზეთებს დამყარებოდენ მათ ავტორიტეტს და მოურიდებლად აეჭრელებიათ თავისი ფურცლები ცილისწამებით და ლანძღვით ჩემი მთავრობისა და მისი ოფიციალური წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩინეთში.

ვაცხადებ რა სასტიკ პროტესტს იმ უმოქმედობის და უყურადღებობის წინააღმდეგ, რომელსაც იჩენენ ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელნიც ითმენენ და ერთგვარად კიდეც აქეზებენ ამ გაზეთების გამოხვლებს, მე მოვითხოვ გადამჭრელ ზომების მიღებას, რათა დაცული იქნეს საბჭოთა და მისი საკონსულოები ჩინეთში ბინძური ჭორებისა და ცილისწამებისაგან. მე ხაზს ვუსვამ იმას, რომ შექმნილ ატმოსფერაში ყოვლად შეუძლებელია შეთანხმებული, მეგობრული მუშაობა და იმედი მაქვს, რომ სასწრაფოდ მივიღებ ცნობებს თქვენს მიერ ზომების მიღების შესახებ. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მე იძულებული ვარ ვაცნობო ჩემს მთავრობას გაზეთების ამ თავხედური კამპანიის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ რგოლს იმ პროვოკატორულ გამოსვლებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელთაც ამ უკანასკნელ დროს აწყობენ სხვა სახელმწიფოებში საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ ემიგრანტების სხვადასხვა ჯგუფები.

სამწუხაროდ, ბულვარულ პრესის მიერ გაზვიადებულ ბურლაკოვის საქმეში არ შეიძლება არ დავინახოთ ცდა მოაწყონ პროვოკაციული გამოსვლა ჩვენთან მეგობრულად განწყობილ ჩინეთის ტერიტორიაზე“.

ვოლფის სააგენტოს ცნობა

ბერლინი, 28 სექტემბერი. „ვოლფის“ სააგენტო უარყოფს ზოგიერთ გაზეთების ცნობას, რომ თითქოს საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მოსალოდნელ სავაჭრო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით ორივე ქვეყნის დელეგაციები შეთანხმდენ საბჭოთა კავშირისათვის 100 მილიონი მანეთის კრედიტის მიცემის საკითხში. სესხი მოხმარდება სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენის საქმეს. სააგენტო იუწყება, რომ გერმანია არ იღებს მონაწილეობას იმ მოლაპარაკებაში, რომელიც სწარმოებს გერმანიის კომერციულ წრეებსა და დაინტერესებულ დაწესებულებათა შორის.

პოლონეთის პრესა ვარშავში ჩიჩერინის ჩასვლის შესახებ

ვარშავა, 28 სექტ. „გაზეტა ვარშავსკა“ ესალმება ჩიჩერინს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩიჩერინი ყოველთვის სიმპატიით ეპყრობოდა პოლონეთსო. გერმანიის და გერმანიისადმი მეგობრულად განწყობილი პრესის მღელვარება, გაზეთის აზრით, ცხადყოფს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ექნეს ჩიჩერინის ჩამოსვლას პოლონეთისათვისო.

„ვარშავიანკა“ აღნიშნავს, რომ **პოლონეთში გაიმარჯვა მშვიდობიანმა განწყობილებამ საბჭოთა კავშირის მიმართ.** გაზეთი ფიქრობს, რომ ჩიჩერინის ჩამოსვლა პოლონეთში მოწმობს იმას, რომ საფრთხე, რომელიც მოელის მშვიდობიანობას საბჭოთა კავშირის მხრივ, გაცილებით ნაკლებია იმ საფრთხეზე, რომელიც მოსალოდნელია გერმანიიდან.

„კურიერ პოლსკი“ ხაზს უსვამს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელსაც აძლევენ ჩიჩერინის ჩამოსვლას საზღვარ-გარეთ, კერძოდ ბერლინში.

„კურიერ პორანიი“ ფიქრობს, რომ ჩიჩერინის ჩასვლას ვარშავაში კავშირი აქვს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლასთან, რომელიც გამოიწვია ინგლისის ცდამ დაარღვიოს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის.

„კურიერ ვარშავსკი“ აღნიშნავს, რომ რამდენადაც დასავლეთ-ევროპა იმყოფება ინგლისის ბრჭყალებში, **მტკიცე შეთანხმების განხორციელება მოსკოვსა და ვარშავას შორის დიდ სასოწარკვეთილებაში ჩააგდებდა ინგლისს** „გაზეტა პორონა“ იმედს გამოსთქვამს, რომ ჩიჩერინის ჩამოსვლა განამტკიცებს ორივე ქვეყნის ეკონომიურ დაახლოებას.

„ეხო ვარშავსკიე“ აცხადებს, რომ როგორც პოლონეთს, ისე საბჭოთა კავშირს ესაჭიროება დაახლოვების რეალური პოლიტიკა, დამყარებული ეკონომიურ თანამშრომლობაზე და ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობაზე.

ინგლისის შიში

ლონდონი, 28 სექტ. ლონდონის წრეებში ვარშავაში ჩიჩერინის ჩასვლას შემდეგ ხასიათს აძლევენ, თითქოს საბჭოთა კავშირს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ან პოლონეთ-საბჭოთა კავშირის—ჩეხო-სლოვაკიის კავშირის შექმნის საფრთხით სურს დააშინოს გერმანია და ჩაშალოს გერმანიის მთავრობის გეგმები, რომელიც დაკავშირებულია საგარანტიო ხელშეკრულებასთან.

ჩინეთის სამხედრო დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 29 სექტ. 27 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთის სამხედრო დელეგაცია, რომელიც გამოგზავნა საბჭოთა კავშირში ჩინეთის სახალხო არმიის სარდალმა მარშალმა **ფინ-იუი-სიანმა,** რომელიც მხარს უჭერს მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებას ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

სადგურში დელეგაციას შეხვდენ სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის და რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს წარმომადგენლები.

საუბარი გენერალ სიუნ-პინთან.

მოსკოვი, 29 სექტემბერი. მოსკოვში ჩამოვიდა ფინ-იუი-სიანის მიერ წარმოგზავნილი დელეგაცია, რომლის წარმომადგენელმა, გენერალმა სიუნ-პინმა, საბჭ. კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ დელეგაცია ჩამოვიდა მარშან ფინ-იუი-სიანის დავალებით იმ მიზნით, რათა გაეცნოს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას. დელეგაციას სურს გაეცნოს საბჭოთა მთავრობის მშენებლობას და მიღწევებს, უმთავრესად, პოლიტიკურ ცხოვრების, მრეწველობის აღდგენის და განათლების დარგში.

დელეგაცია დარჩება მოსკოვში დაახლოვებით ერთი თვე, რის შემდეგ იგი აპირებს დასავლეთ ევროპაში გამგზავრებას.

შეეხო რა ჩინეთის და საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას, სიუნ-პინმა აღნიშნა, რომ ორივე ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა მოითხოვს მეგობრულ ურთიერთობას. საბჭოთა კავშირმა უკვე დაუმტკიცა ჩინეთს თავისი მეგობრობა და მომავალში ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო განმტკიცდება.

ჩინეთის ეროვნულ მოძრაობის შესახებ სიუნ-პინმა განაცხადა, რომ ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს მთელი ჩინეთის ხალხი.

ამერიკელები დაინტერესებული არიან ციმბირით

ვაშინგტონი, 28 სექტ. ამერიკის საგარეო და საშინაო ვაჭრობის ბიურო უცქერის ციმბირს, როგორც მრავალ შესაძლებლობათა ფართო ასპარეზს, რომელსაც სათანადო პირობებში შეუძლია გახდეს გავლენიან ფაქტორად მსოფლიოს ბაზრებზე. ემყარება რა ამას, ბიუროს სურს დააკმაყოფილოს დაინტერესებულ საქმიან წრეების მოთხოვნილებანი და ამ მიზნით იგი შეუდგა ციმბირზე სტატისტიკურ ცნობების შეკრებას. უკვე დამზადებულია დასაბეჭდათ ბროშიურები ციმბირში ვაჭრობის და მრეწველობის განვითარების შესახებ.

მონღოლეთის წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 29 სექტ. 27 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა მონღოლეთის რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად ახლად დანიშნული **ბოიან-ჩულგანი.**

საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაცია ბრუნდება იაპონიიდან

მოსკოვი, 29 სექტ. საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ მიიღო კობედან იაპონიაში მყოფ საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის თავმჯდომარის ლეპსეს დეპეშა, რომ რადგან **საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციას სავსებით მოუსპეს თავისუფალი მიმოსვლის საშუალება,** დელეგაცია ბრუნდება ხარბინის გზით მოსკოვში, ისე რომ არ დაუმთავრებია იაპონიის პროფკავშირთა ორგანიზაციების გაცნობა.

ინგლისის პროფკავშირთა წარმომადგენლები მოსკოვში

მოსკოვი. 29 სექტ. 27 სექტემბერს ინგლისის პროფკავშირთა წარმომადგენლები ხიგსი და სიტრინი დაესწრენ საამშენებლო დარგის მუშების კრებას, რომელიც გაიმართა კავშირთა სახლის დარბაზში 780 მუშის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების გამოშვების გამო.

ინგლისელმა სტუმრებმა ინახულეს აგრეთვე შრომის სასახლე, სადაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მდივანთან—მელნიჩანსკისთან.

საუბარის დამთავრების შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს შრომის სასახლე.

1 ოქტომბერს ხიგსი და სიტრინი მიემგზავრებიან ლენინგრადში.

აღმოსავლეთში

შახი მიემგზავრება სპარსეთში

თეირანი, 28 სექტ. თეირანის პრესაში გამოქვეყნდა სპარსეთის შახის შემდეგი დეპეშა პრემიერ რიზა-ხანის სახელზე: „2 ოქტომბერს მოვდივარ პარიზიდან სპარსეთში. მაქვს ბედნიერება დავბრუნდე ძვირფას სამშობლოში. მოხარული ვარ მალე შევხედე თქვენო აღმატებულებავ“.

საპასუხო დეპეშაში რიზა-ხანი გამოსთქვამს თავის სიხარულს შახის დაბრუნების გამო და სთხოვს აცნობოს მას, რომელ ნავთსადგურზე გადმოვა.

მაროკო

ესპანელების ზარალი

პარიზი, 28 სექტ. მადრიდიდან მიღებული ცნობით, ესპანეთის ჯარებმა ბრძოლაში ალხუსემასის რაიონში დაჰკარგეს მოკლული—6 ოფიცერი და 70 ჯარისკაცი, დაჭრილი—16 ოფიცერი და 500 ჯარისკაცი. უმეტესობას მოკლულ და დაჭრილ ჯარისკაცებს შორის შეადგენენ ადგილობრივი მცხოვრები არაბები, რომლებიც დარჩენ ესპანელების „ერთგულნი“ და უკანასკნელებთან ერთად იბრძოდენ თავის თანამოძმეების წინააღმდეგ.

ლიოტე მოითხოვს გადადგომას

პარიზი, 28 სექტ. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა მაროკოში, მარშალმა ლიოტემ მიმართა მთავრობას თხოვნით გაიწვიონ ის მაროკოდან.

პარიზი, 8 სექტ. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით ლიოტე [illegible] თავის თხოვნას მაროკოში უმაღლესი კომისრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ იმით, რომ პროტექტორატი [illegible] ნილია და საფრთხე [illegible] გობს.

ალჟირი

ემირ ხალედის გამართლება

პარიზი, 28 სექტ. ქალაქ ექს-ან-პროვანსის ტრიბუნალმა გაამართლა ემირი ხალედი, ალჟირის ეროვნული მოძრაობის ბელადი, რომელსაც ბრალად სდებდენ პროპაგანდის წარმოებას ეგვიპტეში რიფების სასარგებლოთ.

ინდოეთი

კომუნისტური კონფერენცია

ლონდონი, 28 სექტ. ინდოეთის პირველი კომუნისტური კონფერენცია მოწვეული იქნება კაუნპორში. კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეული იქნება საკლატვალა.

სირია

სუეიდას აღების შემდეგ

პარიზი, 29 სექტ. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით ქალაქ სუეიდას აღების და ავადმყოფების და დაჭრილების ევაკუაციის შემდეგ საფრანგეთის ჯარები წყლის უქონლობის გამო დაბანაკდენ მუსეიფრეში შემდეგი ოპერაციებისათვის მოსამზადებლათ. ყოველ დღე შემოდის განცხადებები დამორჩილების შესახებ.

სუეიდთან ბრძოლის დროს დაჭრილ-დახოცილთა რიცხვი 33 კაცს არ აღემატება.

ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა

ლივერპული, 28 სექტ. ადგილობრივი მუშათა ორგანიზაციები დიდ ინტერესს იჩენენ მუშათა პარტიის ყრილობისადმი, რომელიც გაიხსნება ხვალ.

სამთომადნო მუშათა ფედერაციის მდივანმა კუკმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ის ემხრობა კომუნისტების მიღებას მუშათა პარტიაში.

კომუნისტების მიერ გამართულ მიტინგზე გამოვიდენ გალახერი, გოგანი და საკლატვალა, რომლებიც მოუწოდებდენ მუშებს გაერთიანდენ მემარცხენე ფრთის პროგრამის გარშემო მაკდონალდის და მისი მომხრეების პროგრამის წინააღმდეგ. მიტინგს დაესწრო 5000 მუშა.

კონფერენციის გახსნას დაესწრება 1,100 დელეგატი.

მემარცხენე ფრთის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ კომუნისტები არ იქნებიან მიღებული მუშათა პარტიაში.

საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის

რ. კ. პ. (ბ) ც. კ. ცირკულიარული წერილი

მოსკოვი, 29 სექტემბერი. რ. კ. პ. ცეკას ცირკულიარულ წერილში საბჭოების მორიგი არჩევნების შესახებ ნათქვამია:

„პარტიის მიერ გაწეულმა მუშაობამ საბჭოების გასაძლიერებლად და მათი მუშაობის გამოსაცოცხლებლად გააძლიერა პარტიის კავშირი გლეხთა ფართო მასებთან. ამ მასების პოლიტიკური აქტივობის საერთო ზრდამ, რომელიც დაკავშირებული იყო მთელი სახალხო მეურნეობის აღორძინებისა და მუშების და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, ხელი შეუწყო ამ მუშაობის წარმატებას. პარტიას შეუძლია აღნიშნოს მუშებისა და გლეხების კავშირის შესამჩნევი გაუმჯობესება.

საბჭოების მომავალმა არჩევნებმა უნდა განამტკიცონ მიღწევები საბჭოების გამოცოცხლების საქმეში და ხელი უნდა შეუწყონ მუშათა და გლეხთა ფართო მასების დარაზმვას პარტიის გარშემო. ცეკა მიუთითებს ყველა პარტორგანიზაციების ყურადღებას არჩევნების სისწორით მომზადების აუცილებლობაზე. თვითეულ რაიონში, წარმოებაში და სოფელში, სადაც მიმდინარეობს არჩევნები, უნდა ჩატარებული იქნეს ფართო კამპანია, რომლის დროს ძველმა საბჭოებმა და აღმასკომებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ მოსახლეობას, ჩატარებული უნდა იქნეს აგრეთვე მუშაობა, დაკავშირებული ამა თუ იმ რაიონში საბჭოთა აღმშენებლობის კონკრეტიულ ამოცანების განმარტებასთან.

საარჩევნო სააგიტაციო მუშაობის დროს პარტორგანიზაციები ყურადღებით უნდა მიუდგენ ნამდვილ ნაკლულევანებათა კრიტიკას ძველი საბჭოების მუშაობაში.

ცეკა აღნიშნავს, რომ ადგილი ჰქონდა ერთგვარ დაბნევას, გარკვეული ხაზის უქონლობას მთელ რიგ სასოფლო ორგანიზაციების მუშაობაში წარსული არჩევნების დროს და მოითხოვს ყველა პარტორგანიზაციებმა განსაკუთრებული სერიოზული ყურადღება მიაქციონ არჩევნების ჩატარებას სოფლად და საარჩევნო კამპანიაში პარტიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას. საჭიროა, რომ არჩევნების მომზადების და ჩატარების დროს სოფლის პარტორგანიზაციები შეუდგენ ღარიბი გლეხების დარაზმვას და საშუალო და ღარიბ გლეხებს შორის კავშირის მოგვარებას, რათა ისინი შეთანხმებულად გამოდიოდენ როგორც კანდიდატების წამოყენების დროს, ისე არჩევნების ყველა დანარჩენ საკითხებში.

არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად სოფლად პარტიული კომიტეტები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ სოფლის პარტუჯრედებისათვის ყოველმხრივ ინსტრუქციების მიწოდებას და მათ მომზადებას საარჩევნო მუშაობისათვის. საჭიროა გადაჭრით უარყოფილი იქნეს ფორმალური მიდგომა მუშა-ქალების და გლეხქალების საპასუხისმგებლო პოსტებზე წამოყენების საქმისადმი. საჭიროა აგრეთვე, რომ არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ შინამრეწველები-ხელოსნები.

მთელი საარჩევნო მუშაობა ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ მას შედეგად მოჰყვეს გაფართოება უპარტიო მუშათა და გლეხთა აქტივისა, რომელიც იმუშავებს საბჭოებში პარტიის ხელმძღვანელობით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საარჩევნო კომისიების თავის დროზე მოწყობას და შერჩევას, თანახმად საბჭოთა კავშირის ცაკის სათანადო დადგენილებისა.

ცეკა ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს მომავალ არჩევნების დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას პარტიის გარეშე ფართო მასების შემოკრების საქმეში და მოითხოვს პარტორგანიზაციებისაგან, რომ მათ ყოველივე ზომები მიიღონ ამ წერილში აღნიშნულ დირექტივების სისწორით შესასრულებლად“.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია იზრდება

ჩეხო-სლოვაკიის დამოუკიდებელი სოციალისტური პარტია შეუერთდა კომპარტიას

პრაგა, 27 სექტ. ჩეხო-სლოვაკიის დამოუკიდებელი სოციალისტური პარტიის ყრილობამ, რომელსაც დაესწრო 110 დელეგატი, დაადგინა გამოვიდეს მეორე ინტერნაციონალიდან და შევიდეს კომინტერნში ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიასთან გაერთიანების გზით. ეს გადაწყვეტილება ერთხმად მოიწონა კომპარტიის კონგრესმა.

საფრანგეთ-ამერიკის მოლაპარაკება ვალების შესახებ.

ვაშინგტონი, 28 სექტ. საფრანგეთის დელეგაციის წინადადებები საფრანგეთის ვალების კონსოლიდაციის შესახებ უარყოფილ იქნა. კომისია კვლავ განაგრძობს სხდომებს და, როგორც სჩანს, იხილავს ახალ წინადადებებს.

გერმანია და მოკავშირეები

გერმანია და საგარანტიო ხელშეკრულება

ბერლინი, 28 სექტ. სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში სხვადასხვაგვარად აფასებენ ზეპირ და წერილობით განცხადებებს, რომლებიც გააკეთეს გერმანიის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა ანტანტის სახელმწიფოთა დედა-ქალაქებში მსოფლიო ომისათვის პასუხისმგებლობის და კელნის ზონის ევაკუაციის შესახებ. პირველ საკითხში ლიუტერის კაბინეტი ეთანხმება მარქსის კაბინეტის განცხადებას.

კელნის ზონის ევაკუაციის საკითხის შესახებ მთავრობა იმეორებს თავის წინანდელ განცხადებას, რომ მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ საგრძნობლად გაადვილდებოდა, თუ გერმანია დარწმუნებული იქნებოდა, რომ ევაკუაცია მოხდება ხელშეკრულების დადებამდე.

ნაციონალისტები ესალმებიან მთავრობის ამ განცხადებას, რადგან ეს მათ საშუალებას აძლევს თავი იმართლონ ამომრჩევლების წინაშე იმ გადახრაში, რომელიც განიცადა ნაციონალისტურმა პარტიამ საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

მემარცხენე პარტიები კი, პირიქით, ჰგმობენ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, რომელსაც უწოდებენ ზედმეტ და უაზრო დათმობას მემარჯვენე წრეებისადმი. მემარცხენე წრეების აზრით, ბევრ მემარჯვენე პოლიტიკოსს იმედი აქვს, რომ ამ განცხადებას შეუძლია მოლაპარაკების ჩაშლა საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ. მემარცხენენი ფიქრობენ რომ ეს არ არის მოსალოდნელი, „მსოფლიო პსიქოლოგიური სიტუაციის მიხედვით“.

ჩინეთის ამბები

ჩჟან-ცზო-ლინი ფულს მოითხოვს.

პეკინი, 26 სექტ. „დეილი ტელეგრაფ“-ის პეკინელი კორესპონდენტი ეხება ჩჟან-ცზო-ლინის განცხადებას ამერიკის ჟურნალისტებთან საუბრის დროს და აღნიშნავს, რომ ეს განცხადება ნიშნავს ფულის მოთხოვნას ფინ-იუი-სიანის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. გაზეთი განაგრძობს, რომ ჩჟან-ცზო-ლინმა ერთხელ ასეთივე თხოვნით მიმართა ინგლისის მთავრობას, მაგრამ უარი მიიღო.

დღემდე ოფიციალურ წრეებში ეს განცხადება არ ყოფილა დადასტურებული.

მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ ფართოვდება

პეკინი, 28 სექტემბერი. ხანკოუში ინგლისის კონსულსა და ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის განახლებული მოლაპარაკება კვლავ უშედეგოდ დამთავრდა. ცენტრალურ ჩინეთში იზრდება და ფართოვდება მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ.

საგაფიცვო მოძრაობა ძლიერდება

პეკინი, 28 სექტემბერი. ხანკოუში საგაფიცვო მოძრაობა ძლიერდება, რადგან მწარმოებლებმა უარი სთქვეს სამუშაო ხელფასის მომატებაზე. უცხოელების და ჩინელების საფეიქრო წარმოებებში კვლავ გაიფიცა 5.000 მუშა. საფეიქრო ფაბრიკები დაკეტილია.

ჩინეთი მოითხოვს სრულ სატარიფო ავტონომიას

პეკინი, 28 სექტემბერი. მთავრობის გარეშე საქმეთა კომისიამ ერთხმად დაადგინა პირველ რიგში მომავალ საბაჟო კონფერენციის დღის წესრიგში დასმული იქნეს ჩინეთისათვის სრული სატარიფო ავტონომიის მიცემის საკითხი. ჩინეთის დელეგაციას მიეცემა ინსტრუქცია დაჟინებით დაიცვას კონფერენციაზე ეს მოთხოვნილება.

თავდასხმა ფაშისტებზე ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. იტალიელთა ადგილობრივ ახალშენის 2.000 წევრმა გამართა დემონსტრაცია იმ ფაშისტ დეპუტატების წინააღმდეგ, რომლებიც ჩამოვიდენ საპარლამენტო კონფერენციაზე დასასწრებლად. მოხდა შეტაკება დემონსტრანტებსა და ფაშიზმის მომხრეებს შორის. ატყდა სროლა, რომლის დროს დაიჭრა ორი კაცი.

სპარსეთის ნავთი

ლონდონი, 28 სექტემბერი. სპარსეთიდან იტყობინებიან, რომ იქ ჩავიდა 28 გეოლოგი, რომელთაც განზრახული აქვთ დაათვალიერონ ნავთიანი ადგილები ინგლისის ამერიკის [illegible] ლებით. ბურღვის დაწყება განზრახულია მომავალი გაზაფხულიდან. ინგლისის ფინანსიურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ხმების მიხედვით ამერიკის ბანკირები აძლევენ სპარსეთის მთავრობას სესხს სპარსეთის ჩრდილოეთ ნაწილის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციისათვის, და ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ამერიკის საფინანსო მისია საერთოდ დიდ აქტივობას იჩენს სპარსეთში. [illegible] ოფიციალური [illegible]ის მიხედვით, თანხა, გადახდილი ინგლის-სპარსეთის სანავთო კომპანიის მიერ ნავთიან ადგილების იჯარით ასაღებად, საერთოდ უდრის სპარსეთის მთელი სახელმწიფო შემოსავლის ერთ მეათედს.

ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია საქართველოში

ზემო-ავჭალაში

გუშინ დილის 12 საათზე ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია მთელი შემადგენლობით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის ამხ. შ. მათიკაშვილის, ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ჟუჟიკაშვილის, ინჟ. ბ. ჭიჭინაძის და საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის წევრის ამხ. პახომოვის თანხლებით გაემგზავრა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის დასათვალიერებლად.

დელეგაციამ დაათვალიერა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ადგილები: საგენერატორო და სატრანსფორმატორო სადგურების დაწყებული შენობები, მთავარი არხი, ქაშხალი, განათხარი და სხვა. დელეგაციის წევრები იძლეოდენ მრავალ კითხვებს როგორც მშენებლობის მიმდინარეობის, ისე მუშაობის პირობების შესახებ.

დაწვრილებით პასუხს ყოველ შეკითხვაზე მათ აძლევდა სამუშაოთა უფროსი ინჟ. ბ. ჭიჭინაძე.

სადგურის დათვალიერების შემდეგ დელეგაციის წევრებმა შეიარეს მთავარ კანტორაში.

აქ მათ ნახეს ზაჰესის არხის გათხრის დროს ნაპოვნი არქეოლოგიური ნაშთები—კერამიკული ნაჭურჭლები, სურები, სასმისები და სხვა. დიდი ცნობისმოყვარეობით სინჯავდენ დელეგაციის წევრები უძველეს განძებს. მათ განუმარტეს, რომ მრავალი, უფრო საინტერესო და ძვირფასი განძები—გათხრის დროს ზემოავჭალის მიდამოებში ნახული არქეოლოგიური ნაშთები—შესანახად გაგზავნილი იქნა საქართველოს ისტორიულ მუზეუმში.

საუზმის დამთავრების შემდეგ დელეგატებმა დაათვალიერეს რვეული, სადაც დანიშნულია ყველა იმ საპატიო სტუმართა ვინაობა, რომელნიც ეწვიენ და უნახავთ ზაჰესის დიადი მშენებლობა. მათ დაკვირვებით გადაფურცლეს რვეული, რომელსაც ამშვენებს საბჭოთა კავშირის მრავალ რევოლიუციონერ-მოღვაწეთა და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მრავალ უცხოელ მეგობართა მიერ დაწერილი ზაჰესის ხილვით გამოწვეული აღფრთოვანების სტრიქონები. დიდი ინტერესით გადაიკითხეს მათ თავიანთი თანამემამულეების ამხ. პერსელის, ამხ. სმიტის, ამხ. ბრომლეის და აგრეთვე მერი კვეილის წარწერები.

დასასრულ, დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. უოლხედიც იღებს კალამს და სწერს შემდეგს:

„ზემო-ავჭალის დიადი ელექტრომშენებლობა არის ახალი ცხოვრების ახალი კვალი, რომელიც ღრმად არის გავლებული საბჭოთა კავშირის მთელ სივრცეზე.

ჩვენ დავათვალიერეთ მრავალი წარმოება, გავეცანით საბჭოთა მშენებლობას და ყოველგან ვნახეთ ახალი ერის—ახალი ცხოვრების დასაწყისი“.

ამ სიტყვებს მოჰყვება კიდევ რამოდენიმე აღფრთოვანებული სტრიქონი.

ხელს აწერენ: **უოლხედ, ტაილორი, ხელლი, მარდ-ჯონსი და კლუტსი.**

დელეგატებს აჩვენეს ზაჰესის მნახველ სტუმართა ფოტოგრაფიები. ფოტოგრაფმა გადაიღო აგრეთვე დელეგაციის სურათი.

მცხეთაში

ზემო-ავჭალიდან დელეგაციამ მოისურვა მცხეთაში გამგზავრება ისტორიული ძეგლების სანახავად.

მცხეთის დიდი ტაძარი ღია იყო, რადგან ამ ჟამად სწარმოებს ტაძრის შინა თაღების შეკეთება. დელეგაციას გამოეგება არქიმანდრიტი ჯაფარიძე, რომელიც შეუძღვა ტაძარში. დელეგატებმა დიდი ყურადღებით შემოიარეს ტაძრის ყველა კუნჭული, გამოკითხეს ტაძრის აგების თარიღი და ისტორიული თავგადასავალი. განმარტებებს დელეგატებს აძლევდა არქიმ. ჯაფარიძე.

კითხვაზე, თუ სწარმოებს წირვა-[illegible] ლესიაშია, არქ. ჯაფარიძე უპასუხებს, რომ წირვა-ლოცვა სწარმოებს და ეკლესიასაც ჰყავს თავისი მრევლი, რომელიც უმთავრესად ძველი თაობის ხალხისაგან—მოხუცთაგან შესდგება.

ისტორიული ნაშთების დათვალიერების შემდეგ დელეგაციამ მადლობა გადაუხადა არქიმანდრიტს და დასტოვა ტაძარი.

კათალიკოს ამბროსისთან.

ტაძრის ახლო მდებარე საეკლესიო შენობის აივანზე მათ შენიშნეს მოხუცებული სამღვდელო პირი.

მათ იკითხეს ვინაობა. როცა გაიგეს, რომ თეთრწვერა მოხუცი არის კათალიკოსი ამბროსი, მოინდომეს მისი პირადათ ნახვა და გამოსაუბრება. მთარგმნელის საშუალებით მათ აცნობეს კათალიკოსს თავიანთი სურვილი.

დელეგატებმა გააცნეს თავიანთი ვინაობა და სთხოვეს კათალიკოსს გაეზიარებია მათთვის თავისი აზრი სარწმუნოების და სამღვდელოების მდგომარეობის შესახებ საბჭოთა საქართველოში.

— სარწმუნოება და სამღვდელოება,—განუცხადა დელეგატებს კათოლიკოსმა,—ამ ჟამად თავისუფალია. სამღვდელოების მხრივ მთავრობის მიმართ ამ ჟამად არავითარ უკმაყოფილებას ადგილი არა აქვს. სარწმუნოების საქმეში მთავრობა არ ერევა, ჩვენ ეს გვაკმაყოფილებს, რადგან საბჭოთა ხელისუფლება, იმაზე მეტს, რაცა გვაქვს, ვერ მოგვცემს და არც ჩვენ მოველით.

დელეგატები კმაყოფილი დარჩენ ამბროსის პასუხით და აღარ გაუგრძელებიათ საუბარი. ინგლისური თავაზიანობით მადლობა გადაუხადეს მიღებისათვის და გამოემშვიდობნენ.

4 საათისათვის დელეგაცია დაბრუნდა ტფილისში.

დელეგაცია კოჯორში

[illegible] შემდეგ დელეგაციამ დაისვენა. [illegible] დელეგაცია გაემგზავრა ტფილისის მიდამოების დასათვალიერებლად. გაისეირნეს კოჯორის გზატკეცილზე, შეუხვიეს გზისპირად მდებარე სოფლებში.

იყვნენ აგრეთვე ფუნიკულიორზე.

კერძო საუბარში დელეგატები არ მალავდენ თავიანთ აღფრთოვანებას, რომელიც გამოიწვია მათში ტფილისის მიდამოების და თვით ქალაქ ტფილისის სილამაზემ.

საუბარი დელეგატებთან

საუბარი დელეგაციის თავმჯდომარე უოლხედთან

მე ვნახე საბჭოთა რუსეთი—განაცხადა დელეგაც. თავმჯდომარე ამხ. უოლხედმა,—თავისი განსაცდელის უმძიმეს წუთებში,—როცა 6 წლის ომიანობით, ინტერვენციით და კონტრ-რევოლიუციით წელგაწყვეტილ ქვეყანას ზედ დაერთო საშინელი სიმშილობა. მე მუდამ მჯეროდა, რომ მიუხედავათ ფინანსიური და ეკონომიური ბლოკადისა, საბჭოთა რუსეთი შესძლებდა თავისი საკუთარი ძალებით ქვეყნის მეურნეობის აღდგენას. ამ რწმენას მე მაძლევდა რუსეთის პროლეტარიატის დაუშრეტელი ენერგია—სიცოცხლის წყურვილი და მეორე მხრივ—საბჭოთა ქვეყნის დაულეველი ბუნებრივი სიმდიდრენი. ჩემი მოლოდინი გამართლდა. საბჭოთა ქვეყნების დათვალიერებამ განცვიფრებაში მომიყვანა. ჩვენ გვაკვირვებს და გვაფრთოვანებს იმ საბჭოთა მუშების ადმინისტრატიული უნარი, რომელნიც უძღვიან და ხელმძღვანელობენ საბჭოთა ეკონომიკას. 6 კვირის მოგზაურობის დროს ჩვენ ვხვდებოდით სახელმწიფო მეურნეობის სათავეში ხალხს, რომელნიც ქვედაფენებიდან არიან გამოსულნი, მათი სამეურნეო მშენებლობის უნარი—ნიჭი საბოლოოდ აბათილებს ბურჟუაზიის იმ ცრუ შეხედულებას, თითქოს მხოლოდ მას—ბურჟუაზიას შესწევს ცოდნა და უნარი მართოს და უხელმძღვანელოს თანამედროვე ინდუსტრიის ურთულესს პროცესებს.

ჩვენ გვგონია საბჭოთა კავშირის მეურნეობა ნიჭიერი ხელმძღვანელობით და თავდადებული მუშაობით განვითარების ისეთ გზაზეა შემდგარი, რომ მისი ეკონომიური წინსვლელობა ახლო მომავალში წინ გაუსწრებს ყველა ბურჟუაზიული ქვეყნის მეურნეობას.

მეტსაც ვიტყვი: საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარება მთელს გარდატეხას მოახდენს მსოფლიო ეკონომიკაში.

ინგლისში დაბრუნებისას მე გამოვაქვეყნებ ჩვენი მოგზაურობის ანგარიშს. მე იმედი მაქვს, რომ ანგარიში ისეთ გავლენას იქონიებს ინგლისის სამრეწველო წრეებზე, რომ კონსერვატორთა მთავრობა იძულებული გახდება ძალა[illegible] მოიყვანოს აქტი სავაჭრო შეღავათების შესახებ საბჭოთა კავშირის მიმართ.

საუბარი დელეგატ ამხ. გრენფელთან

ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის წევრმა სამთო ინჟინერმა ამხ. გრენფელმა ჩვენს თანამშრომელს მოკლეთ გააცნო საბჭოთა კავშირში მიღებული შთაბეჭდილებანი.

— ამ ორი კვირის განმავლობაში,—განაცხადა ამხ. გრენფელმა,—ჩვენ შემოვიარეთ საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრები. ვიყავით ნიჟნი-ნოვგოროდში, დონის ბასეინში, როსტოვში, გროზნოში და ბაქოში. ჩვენი მგზავრობის ყოველი წუთი მოვანდომეთ საწარმოო-სამრეწველო დაწესებულებათა გაცნობას და შესწავლას. არ დაგვიტოვებია დაუთვალიერებელი ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელობის მქონე მეურნეობა. დაკვირვებამ და საბჭოთა მეურნეობის ყოველმხრივმა აწონდაწონვამ ჩვენ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე: საბჭოთა როგორც სასოფლო, ისე ქალაქის სამრეწველო მეურნეობა ადგია აღორძინების გზას, იგი გიგანტიური ნაბიჯით ვითარდება. დაულეველი ბუნებრივი სიმდიდრე—სახალხო საკუთრებად ქცეული თანდათან მუშავდება და ზრდის პროლეტარულ ქვეყნის დოვლათიანობას.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს ჩვენზე გროზნოს და ბაქოს ნავთის უძლევამა წყაროებმა, ეს ისეთი სიმდიდრეა, რომელსაც შეუძლია საბჭოთა რესპუბლიკები უმდიდრეს და უძლეველ ქვეყნებად აქციოს, მხოლოდ საჭიროა ამ უდიდესი სამრეწველოების მექანიზაცია, საჭიროა ნავთის წარმოების შევსება გაუმჯობესებული ტეხნიკით, საუკეთესო საწარმოო იარაღებით.

ჩვენი ღრმა რწმენით, საბჭოთა კავშირი შესძლებს მაღლა ასწიოს თავისი ქვეყნის მეურნეობა, შესძლებს მიაწოდოს მსხვილ მრეწველობას და სოფლის მეურნეობას საწარმოო იარაღები.

ჩვენი მოვალეობაა ინგლისის ხალხს გავაცნოთ თქვენი ქვეყნის მდგომარეობა და ამით ხელი შევუწყოთ ჩვენი ქვეყნის თქვენთან დაახლოებას. ეს კი საშუალებას მისცემს საბჭოთა რესპუბლიკებს ერთიორად განავითაროს აღორძინების გზაზე შემდგარი სახალხო მეურნეობა.

საბჭოთა წყობილება და ნოე ჟორდანია

V

პროლეტარული რევოლიუცია

ნოე ჟორდანია თავის თავს სთვლის სოციალისტათ, ორთოდოქსალური მარქსიზმის მიმდევრათ. თავის მრავალ ნაწერებში ის ხშირად ლაპარაკობს მუშათა კლასზე და მის ინტერესებზე, მის არ ავიწყდება, რომ კაპიტალიზმის განვითარება მიჰქანებს კაცობრიობას სოციალური რევოლიუციისაკენ.

[illegible] შეიძლება სოციალისტის მიერ სოციალური რევოლიუციის დავიწყება? ამის შესახებ [illegible] დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობაზე მიღებული პროგრამაში სწერია. აი პროგრამის ეს ადგილი: „Усовершенствование техники, концентрируя средства производства и обращения и обобществляя процесс труда в капиталистических предприятиях, все быстрее и быстрее создает материальную возможность замены капиталистических производственных отношений социалистическими, т. е. той социальной революций, которая представляет собой конечную цель всей деятельности международной социалдемократии, как сознательной выразительницы классового движения пролетариата“ (ხაზი ჩვენია. კ. ო.).

ქართველ სოციალდემოკრატებს [illegible] მაინც არ შეუცვლიათ ძველი პროგრამა, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისინი ემორჩილებიან მოყვანილი ამონაწერის [illegible]. ამ ამონაწერში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სოციალური რევოლიუცია საერთაშორისო სოციალდემოკრატიის საბოლოო მიზანია.

ნოე ჟორდანიას ეფიქრადაც არ მოსვლია უარყოს „თეორიაში“ სოციალური რევოლიუცია; პირიქით, ის ამის შესახებ ლაპარაკობს, ლაპარაკობს [illegible] პატარა წიგნაკშიც და სცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ მას არ უღალატნია პროლეტარული რევოლიუციისათვის, რომ მას [illegible] არ შეუქცევია მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლისათვის.

[illegible] შეგნებულ ქართველ მუშამ და გლეხმა იცის, რომ ნოე ჟორდანიამ საქმეზე უღალატა მუშათა კლასს, რომ მან უარყო მისი რევოლიუცია და გარდაიქცა საზღვარგარეთ, როგორც კონტრ-რევოლიუციონური ემიგრანტი. თავის ბრძოლას პროლეტარული რევოლიუციის წინააღმდეგ ის განაგრძობს დღემდის. ეს შეიგნო დღეს ყველამ, ეს შეიგნეს მენშევიკების იმ ფართო წრეებმაც, რომლებიც ერთ დროს ასე მოჯადოებული იყვნენ ნოე ჟორდანიას გენიალობით.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველამ არ იცის, რომ ნოე ჟორდანიამ უარჰყო პროლეტარული რევოლიუცია თეორიაშიც, უარჰყო სოც.-დემ. პროგრამის ის ადგილი, რომელიც ამის შესახებ გარკვევით ლაპარაკობს.

როგორია ნოე ჟორდანიას შეხედულება პროლეტარულ რევოლიუციაზე? როგორ ესმის მას საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა? და ბოლოს აქვს თუ არა რაიმე კავშირი მის აზრებს სოციალ. რევოლიუციის შესახებ მარქსისტულ მოძღვრებასთან, რაშიც ის წამდაუწუმ გვარწმუნებს?

მივსცეთ სიტყვა ნოე ჟორდანიას. ის სწერს: „**კაპიტალიზმი და სოციალიზმი არის ორი ფორმა ერთი და იგივე ნივთიერი მოვლენის—დიდი ინდუსტრიის.** როცა დიდი ინდუსტრია ხდება ნაციონალური მეურნეობის მთავარ ღერძად და ითრევს თავის ფარგალში წვრილ ეკონომიურ ფორმებს, მაშინ ამ ფორმათა მატარებელი კლასები, რწმუნდებიან რა წარმოების ნიადაგზე თავის დამოუკიდებლობის შერჩენის შეუძლებლობაში, გადადიან პროლეტარიატის მხარეზე, დგებიან მის თვალთახედვის ნიადაგზე. **აი მაშინ ირეკება ზარი სოციალური რევოლიუციისა, დიდი ინდუსტრია იღებს სოციალურ ფორმას**“ (გვ. 15, ხაზი ჩვენია. კ. ო.)

ხედავთ, როგორ ყველაფერი მარტივათ არის? მსხვილი ინდუსტრია თანდათან ვითარდება და ანგრევს წვრილ ინდუსტრიას. საშუალო კლასები იარაღს ჰყრიან მისი ძლევამოსილი მსვლელობის წინაშე და ცვივდებიან პროლეტარიატის რიგებში ეს უკანასკნელი წარმოადგენს საზოგადოების აბსოლიუტურ უმრავლესობას. და აი ასეთ პირობებში, როდესაც პროლეტარიზაციის პროცესმა მიაღწია თავის უმაღლეს წერტილს, ერთ მშვენიერ დღეს ირეკება ზარი სოციალური რევოლიუციის, და ინდუსტრიაც იღებს სოციალისტურ ფორმას.

პირდაპირ მომაჯადოებელი პერსპექტივაა მუშათა კლასისათვის! ყველაფერი უსისხლოდ ხდება, საჭირო არ არის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ასე გვგონებათ, თითქოს მართლაც ზარის დარეკვა საკმარისი იყოს სოციალიზმის დამყარებისათვის.

არც ერთი სიტყვა კლასიურ ბრძოლაზე მუშების და ბურჟუაზიის შორის, არც ერთი სიტყვა იმ წინააღმდეგობებზე, რომლებშიაც დახლართულია კაპიტალისტური საზოგადოება და რომელთა გადაწყვეტა მას არ ძალუძს, არც ერთი სიტყვა იმ უზარმაზარ შეხლა-შემოხლებზე, იმპერიალისტურ შეჯახებებზე, რომელნიც თან ხდევენ ბურჟუაზიულ საზოგადოებას!

და ამას სწერს სოციალ-დემოკრატი, რომელიც გვეფიცება, რომ სავსებით იზიარებს მარქსისტულ მსოფლმხედველობას!

კლასთა ბრძოლის თეორია ქვაკუთხედია მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრების! უამისოდ სოციალიზმი ჰკარგავს თავისი ისტორიული აუცილებლობის სახეს. კლასიური ბრძოლის გარეშე შეუძლებელი იყო მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, 8 საათის სამუშაო დღე და სხვ. მის გარეშე შეუძლებელი და წარმოუდგენელია პროლეტარული რევოლიუცია.

ნოე ჟორდანია „იზიარებს“ მეცნიერულ სოციალიზმს, „იზიარებს“ ორთოდოქსალურ მარქსიზმს, მაგრამ იზიარებს ისე, რომ მან მათ ჩამოაშორა მთავარი, ამოაცალა რევოლიუციონური, ჭეშმარიტი რევოლიუციონური სული.

მაგრამ ვნახოთ, შეიძლება ჩვენი პატივცემული ავტორი სხვა ადგილას სხვა რამეს სწერს სოციალური გარდაქმნის შესახებ. აი მეორე ადგილი იმავე საკითხის შესახებ: „პროლეტარიატის გამარჯვება შეიძლება მხოლოდ მრეწველობის გაძლიერების ნიადაგზე. როგორც კი ის ამოვარდება, მისი დამარცხება აუცილებელია. ის ტყვეთ ხდება არა ინდუსტრიალური კლასების. აი ამიტომ მას მეტი კავშირი აქვს ბურჟუაზიასთან, ვინემ ამ კლასებთან. ჯერ წარმოების არსებობა, მერე მის ფორმაზე ზრუნვა, აქედან იბადება დიდი ტაქტიკური კითხვა: ბურჟუაზიის დამარცხება ისე, რომ არ დამარცხდეს თვით წარმოება, არ მოიშალოს სამრეწველო მექანიზმი და საზოგადოება არ ჩავარდეს ნარნაროსობაში. მარქსი და ენგელსი თავის „მანიფესტში“ სოციალური რევოლიუციის საბოლოო მიზნათ აღიარებენ ბურჟუაზიისათვის მთელი კაპიტალის „ჩამორთმევას ნელ-ნელა... და რაც შეიძლება სასწრაფოთ გაძლიერებას წარმოების“. მარა პირველ სოციალურ ნაბიჯთა შორის ისინი სრულიად არ ასახელებენ მრეწველობის კონფისკაციას. მათი პროგრამის მე-6-ე მუხლი თხოულობს სახელმწიფო მრეწველობის შექმნას კერძო მრეწველობის გვერდით. შემდეგ თანდათან კერძო კაპიტალი გადავა საზოგადოების ხელში“ (გვ. 44, 45 ხაზი ჩვენია კ. ო.)

მაშ ასე, ნოე ჟორდანია სვამს უდიდეს ტაქტიკურ კითხვას—ბურჟუაზიის დამარცხების კითხვას. ის სცდილობს ამ კითხვის გადაჭრას ისე, რომ არც მგელი დაიწყევს და არც მამფური, რომ სამრეწველო მექანიზმი არ მოიშალოს და სოციალიზმმაც გაიმარჯვოს.

თქმა არ უნდა, რომ ეს მშვენიერი და დიდებული აზრია, რადგან უდიდესი ისტორიული პრობლემა უმსხვერპლოთ, მშვიდობიანათ წყდება. მაგრამ ამ აზრს აქვს ის „პატარა“ ნაკლი, რომ მას არავითარი საერთო არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რეალურ სინამდვილესთან.

რეალურ სინამდვილეში სწარმოებს კლასიური ბრძოლა. სოციალური რევოლიუცია ამ კლასიური ბრძოლის უმაღლესი საფეხურია. შეიძლება თუ არა ერთი წუთით დავუშვათ, რომ ბურჟუაზია, რომელსაც აქვს ასეთი ძლიერი აპარატი ძალა-უფლებისა, უბრძოლველათ დასთმობს თავის პოზიციებს? შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ კაპიტალისტები დასთანხმდებიან ნებაყოფლობით სოციალისტურ გადატრიალებაზე?

შეიძლება ეს გულწრფელად სჯეროდეს ნოე ჟორდანიას, ეს მისი უტოპისტურ-სოციალისტური სინდისის საქმეა, მაგრამ ეს არ სჯერა არც ერთ შეგნებულ მუშას, რომელსაც გადუცდია და თავის ზურგზე გადაუტანია კლასიური ბრძოლის მთელი სიმძიმე. ეს არც შეუძლია მას დაიჯეროს არასოდეს.

თუ კი კლასიურ ბრძოლას, მის უმწვავეს ფორმაში, ადგილი ექნება სოციალური რევოლიუციის დროს, შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ ყველაფერი მშვიდობიანათ წავა, რომ წარმოება არ დაირღვევა, სამრეწველო მექანიზმი არ მოიშლება და ამავე დროს სოციალიზმის სამეფოც განმტკიცდება? რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობის წარმოდგენა შეუძლებელია, ასეთი „მდგომარეობა არ შეიძლება იქნეს სინამდვილეში.

ნოე ჟორდანია კი გვარწმუნებს, რომ ყველაფერი უმსხვერპლოდ მოხდება, რომ პროლეტარიატს შეუძლია გულზე ხელები დაიკრიფოს და უყუროს: როდის დაირეკება სოციალური რევოლიუციის ზარი და დამყარდება დედამიწაზე სოციალისტური წყობილება და კაცთა შორის სათნოება.

რა იქნებოდა, რომ პროლეტარიატს დაეჯერებია ასეთი სისწაული? რა იქნებოდა, რომ მას ერწმუნა ნელ-ნელა, მშვიდობიანი გზით სოციალიზმში შესვლა? ეს იქნებოდა—სიკვდილი მუშათა კლასიური ბრძოლისა, ეს იქნებოდა სიკვდილი რევოლიუციონური პროლეტარიატისა და საბოლოო დამარხვა სოციალიზმის იდეისა.

ნოე ჟორდანიის მშვიდობიანი „თეორია“ პროლეტარული რევოლიუციისა არის თეორია დამფრთხალი ფილისტერისა, რომელსაც ეშინია გაბედული მოქმედების, ეშინია რევოლიუციონური გადატრიალების, ეშინია კერძო საკუთრების დაკარგვის. ამ თეორიაში ყველაფერია, გარდა ნამდვილი პროლეტარული რევოლიუციის იდეისა, გარდა ამ რევოლიუციისათვის ბრძოლისაკენ მოწოდებისა.

პროლეტარს არ შეუძლია ირწმუნოს ასეთი თეორია, ის არ გაიზიარებს მას არასოდეს. მას სწამს მარქსის თეორია პროლეტარული რევოლიუციისა და კარგა ხანია, რაც იბრძვის მის რეალურ განხორციელებისათვის.

აქ შეგვეძლო წერტილი დაგვესვა და შეგვეწყვიტა ლაპარაკი ნოე ჟორდანიას სალოდავ თეორიაზე. მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ მასზე კიდევ შევჩერდეთ, რადგან ამ თეორის ავტორი მარქს-ენგელსზე მიგვითითებს, რადგან ის თავის რეაქციონურ აზრებს მარქსისტულათ ასაღებს.

ვნახოთ როგორია ჭეშმარიტი მარქსი და როგორია „მარქსი“ ნოე ჟორდანიასი!

ნოე ჟორდანიას მოჰყავს მარქს-ენგელსის „კომუნ. მანიფესტიდან“ ერთი ადგილი და ფიქრობს, რომ ის მის სასარგებლოთ ლაპარაკობს. ის სწერს: მარქსი და ენგელსი თავის „მანიფესტში“ სოციალური რევოლიუციის საბოლოო მიზნათ აღიარებენ ბურჟუაზიისათვის მთელი კაპიტალის „ჩამორთმევას **ნელ-ნელა**... და რაც შეიძლება სასწრაფოთ გაძლიერებას წარმოების“ (ხაზი ნოე ჟორდანიასია).

სიტყვა ნელ-ნელა იმდენათ მოწონა ჩვენს ფილისტერს, წვრილბურჟუაზიულ დემოკრატ ნ. ჟორდანიას, რომ მან მას ხაზი გაუსვა.

ჩვენ არა ერთხელ ვამხილეთ ავტორი მარქსის იდეების დამახინჯებაში, ციტატების უმართებულოთ მოყვანაში. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ნოე ამ შემთხვევაში მართალია, რომ ამ შემთხვევაში მან სწორათ მოიყვანა მარქსის აზრი.

გადავფურცლოთ „კომუნისტური მანიფესტი“. იქ ვკითხულობთ შემდეგს: „**Пролетариат воспользуется своим политическим господством, чтобы постепенно отнять у буржуазии весь капитал, чтобы централизовать все орудия труда в руках государства, т. е. организованного в качестве господствующего класса пролетариата и, по возможности, скорее увеличить массу производительных сил. Конечно, сначала это может совершится только путем деспотических вторжений в право собственности и в буржуазные условия производства, следовательно, путем мероприятий, которые, с экономической точки зрения, кажутся Недостаточными и ненадежными, но которые в ходе движения перерастут самих себя и неизбежны, как средство для преобразования всего способа производства**“ *) (ხაზი ჩვენია, კ. ო.).

როგორც ვხედავთ, მარქსი და ენგელსი სრულებით არ ლაპარაკობენ სოციალური რევოლიუციის მშვიდობიან ხასიათზე. პირიქით, ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ პირველ ხანებში აუცილებელი იქნება ბურჟუაზიის კერძო საკუთრების საქმეში **დესპოტიური ჩარევა**, რაც, რა თქმა უნდა მოშლის სამრეწველო მექანიზმს და დროებით დასცემს წარმოებასაც. პროლეტარიატი იღებს თავის ხელში პოლიტიკურ ძალაუფლებას იმიტომ, რომ სახელმწიფოს ხელში თავი მოუყაროს ყველა საწარმოო საშუალებებს.

ქვევით მარქსი და ენგელსი ჩამოთვლიან იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს უფრო მოწინავე ქვეყნებში. აი ეს ღონისძიებები:

1. ექსპროპრიაცია კერძო მიწის საკუთრებისა და მიწის რენტის გამოყენება სახელმწიფოს ხარჯების დასაკმაყოფილებლათ.
2. მაღალი პროგრესიული გადასახადი შემოსავლის მიხედვით.
3. მემკვიდრეობის უფლების მოსპობა.
4. ყველა ემიგრანტების და აჯანყებულების ქონების კონფისკაცია.
5. **კრედიტის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში ნაციონალური ბანკის, სახელმწიფო კაპიტალის და განსაკუთრებული მონოპოლიის შემწეობით.**
6. **ტრანსპორტის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში.**
7. **სახელმწიფო ფაბრიკების და საწარმოო იარაღების რიცხვის გადიდება, მინდვრების დამუშავება და გაუმჯობესება საერთო გეგმის მიხედვით** და სხვ. და სხვ.

თუ კარგად ჩავუკვირდებით აქ ჩამოთვლილ ღონისძიებებს და იმ სრულ ამონაწერს „მანიფესტიდან“, რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, დავრწმუნდებით, რომ მარქსის და ენგელსის მიერ გამოთქმულ აზრებს არაფერი საერთო არა აქვთ ნ. ჟორდანიას „მოძღვრებასთან“.

ნ. ჟორდანიამ წაიკითხა „მანიფესტში“ სიტყვა **ნელ-ნელა**, რამაც იმდენად აატოკა მისი გული, რომ მასში ჰპოვა მან გამართლება თავისი კონტრ-რევოლიუციონური თეორიისა, რევიზიონიზმისა, ყალბი მარქსიზმისა. დედააზრი კი მარქსის და ენგელსის მოძღვრებისა დამახინჯებული იქნა.

არსად, არც ერთ თავის ნაწარმოებში პროლეტარიატის ამ უდიდეს ბელადებს არ გამოუთქვამთ ისეთი აზრი, რომ პროლეტარული რევოლიუციის დროს შესაძლო იქნება წარმოების სრული და ნორმალური მსვლელობა.

კლასიურ ბრძოლას აუცილებლათ თან სდევს მსხვერპლი. პროლეტარული რევოლიუცია მის გარეშე შეუძლებელია. უმსხვერპლოთ არ მომხდარა არც ერთი ბურჟუაზიული რევოლიუციაც კი.

აიღეთ საფრანგეთის დიდი რევოლიუცია. განა მან არ დაარღვია სამრეწველო მექანიზმი, განა მან პირველ ხანებში არ დაარღვია წარმოების ნორმალური მსვლელობა? რასაკვირველია, დაარღვია. მაგრამ ეს იყო რევოლიუციის „ხარჯები“, რომელიც შემდეგში ათასწილათ ანაზღაურდა, როცა მრეწველობამ განთავისუფლდა ფეოდალური ურთიერთობის ნაშთებისაგან.

ნუ თუ გასაკვირი უნდა იყოს, რომ პროლეტარულ რევოლიუციასაც თავისი ხარჯები ექნება? ნუ თუ გასაკვირი უნდა იყოს, რომ, როდესაც მუშათა კლასი ქუჩაში გამოდის საბრძოლველათ, მაშინ ის სტოვებს დროებით ფაბრიკა-ქარხნებს? ნუ თუ გასაკვირი უნდა იყოს, რომ როდესაც კონტრ-რევოლიუციონური გენერლები ბრძოლას უცხადებენ რევოლიუციონურ მუშათა მთავრობას და როდესაც მუშები ფრონტებზე მიდიან საბრძოლველათ, მაშინ ირღვევა ნორმალური პროცესი წარმოებისა, ჩერდება მთელი რიგი საწარმოო დაწესებულებებისა?

ეს აშკარაა ყველა მუშის და გლეხისათვის, ეს არ აკვირვებს მას. მაგრამ ეს აკვირვებს ნოე ჟორდანიას, ამ ფილისტერთა იდეოლოგს, რომელსაც უყვარს მყუდრო, მშვიდობიანი, „ნორმალური“ ცხოვრება.

ენგელსმა 1891 წ. მარქსის პატარა წიგნაკის „საქირაო შრომა და კაპიტალის“ შესავალში გამოსთქვა გენიალური აზრი, რომელშიაც მან იწინასწარმეტყველა „სამხედრო კომუნიზმის ეპოქა“ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. ენგელსი ამბობს შემდეგს: «Возможен новый общественный строй, в котором современные классовые различия исчезнут и в котором,—может быть, после короткого, отличающегося некоторою скудостью, но во всяком случае морально очень полезного переходного периода,—посредством планомерного использования и дальнейшего развития уже имеющихся колоссальных производительных сил, всем членам общества, при равной об'язанности труда, в равной мере и в постоянно возрастающем изобилии будут предоставлены средства существования, средства наслаждений, образования и проявления всех физических и духовных способностей»*) (ხაზი ჩვენია. კ. ო.).

როგორც ვხედავთ, ენგელსი აქ გარკვევით ამბობს, რომ რევოლიუციის პირველ ხანებში აუცილებელი იქნება საწარმოო პროდუქციის შემცირება, ე. ი. მრეწველობის დროებითი ჩამოქვეითება. მაგრამ ეს არ არის არგუმენტი პროლეტარულ რევოლიუციის წინააღმდეგ. არ შეიძლება ასეთი საბუთებით ებრძოლო იმ პროლეტარულ რევოლიუციას, რომელიც გზას უხსნის საწარმოო ძალთა გიგანტიური ნაბიჯებით წინსვლას.

ნ. ჟორდანია კი სწორეთ ასე იქცევა. ის წინააღმდეგია პროლეტარული რევოლიუციის იმიტომ, რომ ის პირველ ხანებში გამოიწვევს აუცილებელ ხარჯებს, მრეწველობის დროებით დაცემას და სამეურნეო აპარატის დარღვევას.

კ. ორაგველიძე.

---

*) Коммун. Манифест, Гиз. изд. 3-ее 1923 г. გვ. 96.

*) იხ. მარქსის—Наем. труд и капитал, изд. „Крас. Новь“, 192 г. გვ. 21

საქ. კ. პ. სამაზრო და საოლქო კომიტეტების სააგ.-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირი

მესამე სხდომა

გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან.

ქუთაისის მაზრა

ქუთაისიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. [illegible].

ქუთაისის სამაზრო პარტორგანიზაცია აერთიანებს 7 რაიონს 42 უჯრედით. ამათში 18 ქალაქის უჯრედია და 24 გლეხური. უჯრედების კრებები როგორც ქალაქად, ისე სოფლად იმართება ორ კვირაში ერთხელ. [illegible] ეწყობა ღია კრებები, რომლებსაც ესწრება [illegible] საგრძნობი ნაწილი. რაც შეეხება [illegible] ამხანაგებს, აქ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი, მართალია, უმეტესად ესწრებიან სხდომებს, მაგრამ აქტივობას ამ სხდომებზე არ იჩენენ. ძირითადი ფორმები, რომლებითაც პარტკომი ახორციელებს თავის ხელმძღვანელობას ქვედა ორგანიზაციებზე, ასეთია: არსებობს მიმაგრებითი სისტემა. ამ სისტემის [illegible] რაიონულ ორგანიზაციებზე მიმაგრებული არიან პარტიულ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და [illegible] პასუხისმგებელი მუშაკები, ხოლო უჯრედებზე კი სათანადოთ მომზადებული ამხანაგები. გარდა მიმაგრების სისტემისა, [illegible] უჯრედების [illegible] და აგრეთვე როგორც პარტკომის, ისე საორგანიზაციო კომისიის სხდომებზედაც. გვყავს ინსტრუქტორთა კადრიც, რომლის საშუალებით ვსწავლობთ ადგილებზე არსებულ უჯრედების მუშაობას.

ჩვენს მაზრაში რ.კ.პ.ც.კ. მიერ გამოყოფილია გორდის, გამოჩენებულის და [illegible] სოფლის უჯრედები, ისე როგორც ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიერ ქუთაისის რკინისგზის უჯრედები, რომლებიც უშუალოდ უგზავნიან ზემოხსენებულ ორგანოებს [illegible] და ოქმებს თავიანთ მუშაობის შესახებ.

ჩვენი ორგანიზაციის უმთავრეს ნაკლს შეადგენს: მომზადებულ ძალთა სიმცირე ერთის მხრივ, და პარტიულ ამხანაგების პასივობა, მეორეს მხრივ.

კავშირი კომკავშირის ორგანიზაციასთან მჭიდროა. ხშირად იმართება გაერთიანებული სხდომები, უჯრედებში წარმომადგენლობითი სისტემა [illegible], არსებობს ხელმძღვანელობა პიონერთა ორგანიზაციაზე და სხვა.

პროფკავშირებში პარტხელმძღვანელობა ხორციელდება ფრაქციების [illegible], არსებობს ხელმძღვანელობა [illegible], სასამართლო [illegible] ების მუშაობა [illegible] შედარებით გამოცხოველებულია. სოფლად საბჭოებზე ხელმძღვანელობა ტარდება უჯრედების საშუალებით.

თელავის მაზრა

თელავიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. [illegible].

თელავის სამაზრო ორგანიზაციაში 2 [illegible] ირიცხებოდა 31 უჯრედი. უნდა აღინიშნოს, რომ [illegible] უჯრედები სრულიად არ არსებობენ. მიღებულია ზომები საკანდიდატო ჯგუფების შექმნისა. ჯერ-ჯერობით დარჩენილია რაიონული სისტემა. მაზრაში სულ 2 რაიკომია. მათი მუშაობა ძალზე მოისუსტებს, რადგან ადგილობრივად არ მოიპოვებიან გამოცდილი და მომზადებული მომუშავეები. უჯრედები ერთი მეორისაგან დიდი მანძილით არიან დაშორებული და ასეთ პირობებში ხელმძღვანელობაც როგორც უჯრედებზე, ისე თემის საბჭოებზე და სხვა ორგანიზაციებზე — შეუძლებელი ხდება. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ თემსაბჭოებში არ არსებობენ კომფრაქციები.

უჯრედების მდივნების შემადგენლობა ასეთია: მდივნების 80 პროც. სრულიად მოუმზადებელნი არიან, რის გამოც ისინი სოფელს ვერ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას. მაგრამ ერთი თვის წინად მომრავ პარტსკოლის მიერ გამოშვებულ მსმენელების მოხმარებით მდგომარეობა ამ მხრივ ცოტად თუ ბევრად გაუმჯობესდა.

უჯრედების ღია კრებებმა კარგი შედეგები მოგვცეს იმ მხრივ, რომ ავსწიეთ უპარტიო გლეხობის აქტივობა. აქა-იქ იყო შემთხვევები, როდესაც უჯრედი საბჭოთა ფუნქციებს ასრულებდა. მაგრამ ამ ჟამად ეს ნაკლი აღმოფხვრილია.

მაზრკომს ჰყავს ერთი ინსტრუქტორი, რომლის საშუალებით გვაქვს [illegible] რაიონებთან და უჯრედებთან. [illegible] პრეზიდიუმის წევრებიც შეძლებისდაგვარად მიემგზავრებიან რაიონების დასათვალიერებლად, მაგრამ არა ხანგრძლივი დროით.

რეგულიარულად ხდება რაიკომების პლენუმები, რომლებზედაც ესწრებიან სოფლის უჯრედების მდივნები. ამას წინად გაიხსნა სამაზრო კომიტეტის პლენუმიც უჯრედების მდივნების და თემალმასკომების თავმჯდომარეების თანადასწრებით. პარტუჯრედების ხელმძღვანელობა კომკავშირის უჯრედებზე მოისუსტებს. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ კომკავშირელები პოლიტიკური ცოდნის მხრივ უფრო მაღლა დგანან, ვიდრე პარტიის წევრები, ურთიერთშორის კარგი დამოკიდებულებაა და ხშირად იმართება გაერთიანებული სხდომები.

ქალთა შორის სამუშაოდ ყველა უჯრედებმა ვერ შესძლეს ხელმძღვანელის გამოყოფა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გლეხ-ქალებს დიდი აქტივობა ემჩნევათ.

ამხანაგების წამოყენება პასუხისმგებელ სამუშაოებზე მოისუსტებს, რადგან პარტიული გლეხები უმრავლეს შემთხვევაში წერა-კითხვის მცირემცოდნენი არიან. მომავალში ამ [illegible] დი მუშაობის წარმოება.

პარტიისადმი ლტოლვა დიდია. ჯერ-ჯერობით ცეკას მიერ დამტკიცებულია 66 კანდიდატი, ხოლო ადგილობრივად, თანახმად ცეკას უკანასკნელ ცირკულიარისა, 100 მეტი გლეხი. პარტიაში ახლად მიღებულთა შორის მუშაობა, საკმაოდ მომზადებულ ამხანაგების უყოლობის გამო, ძნელდება. ამას საჭიროა მიექცეს ყურადღება.

მაგრამ იმისათვის, რომ ადგილობრივად გამოვაცხოველოთ პარტმუშაობა, აუცილებლად საჭიროა სათემო სისტემაზე გადასვლა, ვინაიდან რაიკომები ვერ ახერხებენ ხელმძღვანელობას უჯრედებზე.

ლეჩხუმის მაზრა.

ლეჩხუმის მაზრის საორგანიზაციო მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ჭაბუკიანი.

ლეჩხუმის პარტიული ორგანიზაცია შედარებით სხვა მაზრის ორგანიზაციებთან სუსტია. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ ადგილობრივმა პარტამხანაგებმა ჯერ კიდევ ვერ შეითვისეს მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებანი.

ლეჩხუმის ორგანიზაცია აერთიანებს 32 უჯრედს 500-დე პარტიის წევრით და კანდიდატით. სულ არის 5 რაიკომი, თვითოეულ რაიკომს ჰყავს თითო ინსტრუქტორი, მაგრამ ისინი ვერ არიან სათანადოთ მომზადებული.

ამ საანგარიშო პერიოდში ჩვენ მოვახდინეთ ჩვენი რიგების „გადაცხრილვა", რამაც მეტად ასწია და აამაღლა პარტიის ავტორიტეტი უპარტიო მასების თვალში. პარტიულმა „გაცხრილვამ" თვით ორგანიზაციაც გააჯანსაღა.

უჯრედები სოფლად მუშაობენ სუსტად, მაგრამ მაზრაში არიან მაგარი უჯრედებიც. იქ, სადაც უჯრედები მაგარია, ხშირად იმართება ღია სხდომები.

პარტიის ქვედა ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობას ვატარებთ შემდეგი გზით: არსებობს ცოცხალი კავშირი ინსტრუქტორების სახით, ადგილებზე ვგზავნით ცირკულიარებსაც და სამაზრო კომიტეტებთან ვიწვევთ უჯრედების მდივნების თათბირს.

რაც შეეხება ხელმძღვანელობას პარტუჯრედების და კომკავშირის უჯრედებს შორის, კარგი და დამაკმაყოფილებელია.

ფოთი.

ფოთიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. მეგრელიშვილი.

ფოთის ორგანიზაცია აერთიანებს 17 უჯრედს. ორგანიზაციის წევრთა საერთო რაოდენობიდან 80 პროც. მუშებია.

უჯრედების მთელი მუშაობის სიმძიმე გადატანილია ბიუროებზე. თვითეულ უჯრედს აქვს სამთვიანი სამუშაო გეგმა, რომელსაც ამტკიცებს პარტიული კომიტეტი. რეგულიარულად იმართება უჯრედების მდივნების თათბირებიც. დისციპლინა ორგანიზაციაში ვერ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან ზოგიერთ ამხანაგებმა სწორად ვერ გაიგეს შინაპარტიული დემოკრატიის ბუნება. [illegible]. ყველა ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად პარტკომის მიერ მიღებულია სათანადო ზომები. რასაკვირველია, ამ ნაკლულევანებების აღმოფხვრა შეუძლებელია რეპრესიების გზით. აქ საჭიროა აღმზრდელობითი მუშაობის გაღრმავება. ამ მიმართულებით კიდეც გადადგმულია ნაბიჯები.

კომკავშირს თავისი ორგანიზაციაში ჰყავს 600-დე წევრი. პარტიული ამხანაგები კომკავშირში საკმაო რაოდენობით მუშაობენ. ასე რომ პარტიული კადრი კომკავშირში მეტად დიდია. აი ამდენადვე ადგილობრივ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაც კომკავშირზე უზრუნველყოფილია.

ქალაქის საბჭოს ჰყავს ფრაქცია, რომლის საშუალებით პარტია ატარებს თავისი ხაზს. თვით პარტკომთან კი დაარსებულია კოოპერატიული კომისია.

ამ ბოლო დროს ლტოლვა პარტიისაკენ მეტად დიდია. ყოფილ მენშევიკებიდან პარტიაში მიღებული იქნა 22 კაცი.

რაჭის მაზრა

რაჭიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ჯანელიძე.

რაჭის ორგანიზაცია აერთიანებს 5 რაიონს 25 უჯრედით. გარდა ამისა ჩვენ მოვაწყვეთ საკანდიდატო ჯგუფები, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევენ მაზრაში მომუშავე პასუხისმგებელი ამხანაგები. სამაზრკომის ხელმძღვანელობა უჯრედებზე, შეიძლება ითქვას, დამაკმაყოფილებელია. სუსტ უჯრედებზე მიმაგრებულია მომზადებული ამხანაგები. ამასთანავე უჯრედებთან გვაქვს კავშირი ინსტრუქტორების საშუალებით. გვაქვს წერილობითი კავშირიც.

მაგრამ აქ სამწუხარო მოვლენა ის არის, რომ უჯრედები ერთი მეორესაგან დაშორებული არიან 8-8 ვერსით, რის გამოც რაიკომის მდივანს, რომელიც აერთიანებს 5 უჯრედს, არ შეუძლია ყველა უჯრედი დაათვალიეროს და მათი მუშაობა შეისწავლოს ისე, როგორადაც ეს საერთოდ საჭიროა. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ იძულებული შევიქენით აგვეყვანა ახალი ინსტრუქტორი.

უჯრედებში მუშაობის სისტემა ასეთია: ზაფხულის პერიოდში ორ კვირაში ერთხელ იმართება უჯრედების სხდომები. სხდომები მეტწილად ღია არის, რომლებსაც ბლომად ესწრებიან გლეხები და დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარჩევაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. ბიუროები თავიანთ სხდომებზე ორი ან სამი დღის წინად ადრე არჩევენ ამ საკითხებს, რომლებიც შემდეგ გადააქვთ უჯრედების სხდომებზე.

კომკავშირი თავის რიგებში ითვლის 1186 წევრს და 19 კანდიდატს. ცოდნის მხრივ კომკავშირელები გაცილებით უფრო მაღლა სდგანან, ვიდრე თვით პარტიის წევრები. კომკავშირის სუსტ უჯრედებზე კი მიმაგრებული არიან მომზადებული პარტიის ძალები.

რაც შეეხება ქალთა შორის მუშაობას, ამ მხრივ დღემდე ის მოისუსტებდა. ამის უმთავრესი მიზეზი [illegible] რებულ ქალების სიმცირე. მაგრამ დღეს ამ მხრივ სულ სხვა მდგომარეობაა. როგორც პირველი, ისე მეორე ნაკლიც დაძლეულია. სოფლის ინტელიგენცია ჩაბმულია ქალთა შორის მუშაობაში და მუშაობაც წინ მიიწევს.

პროფკავშირების მუშაობა თავის სიმაღლეზე სდგას. პროფკავშირებსა და პარტიის საორგანიზაციო განყოფილებას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. მაგრამ კოოპერატივის მუშაობა კი ძალზე მოისუსტებს, რადგან მას არ მოეპოვება პირველი მოთხოვნილების საგნები. ამას უნდა მიექცეს ფრიად სერიოზული ყურადღება.

მომავალ საყოველთაო აღწერის მოლოდინში

[illegible] მნიშვნელოვანი დარგები, [illegible] მეურნეობის, ისე კულტურის [illegible] ჩვენში ხშირათ [illegible] უჯრედების გარეშე [illegible]. ამიტომ ზოგჯერ იძულებული [illegible] მოსაზრებებს [illegible], ან სრულ ცნობებით [illegible].

[illegible] მდგომარეობაა მაგალითად [illegible] დარგში. დღესაც [illegible] შეუძლია დაბეჯითებით [illegible] გავრცელებულია სა[illegible] და მათ უფრო [illegible] არავინ იცის [illegible] რამდენი წერა-კითხვის [illegible] ჩვენში საზოგადოთ, და [illegible] ცალკე რაიონებში.

[illegible] მაშინ, როცა ამ საკითხებს [illegible] კულტურულ-ეკონომიური [illegible] აქვს.

ჩვენი სტატისტიკური ჩამორჩენილობა [illegible] კურიოზებს [illegible] აფხაზეთში [illegible] სწარმოებდა ენის [illegible] ბუნებრივათ [illegible] ერთ ან ზოგჯერ [illegible] აშენებდენ აფხაზეთის [illegible] შემადგენლობაზე.

[illegible], რომ არავინ დანამდვილ [illegible] რამდენი და რა [illegible] სცხოვრობს აფხაზეთში. [illegible] ადგილობრივი გაზეთი [illegible] იქამდისაც მივიდა, [illegible] აფხაზეთში 37 სხვადასხვა ერო[illegible]...

[illegible] მდგომარეობაა პაწაწა აფხაზეთში. [illegible] იყვეს მთელ საბჭოთა კავშირზე და მის მრავალეროვან მეურნეობა-წარმოებაზე?.. [illegible] საბჭოთა მეურნეობის გეგმიან ზრდას და განვითარებას დიდათ აბრკოლებს ჩვენი სტატისტიკის [illegible], მისი სისუსტე.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა [illegible] მომავალ 1926 წლის სრულ საკავშირო აღწერებს. ამ აღწერებს მიზნათ აქვს დასახული მთელ [illegible] მეურნეობის ანგარიშში [illegible] და მოსახლეობის აღწერა.

[illegible] გეგმით და ამ მასშტაბით [illegible] პირველი მაგალითია საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 1897 წელში ჩატარდა მეფის რუსეთის მიერ საერთო აღწერა, მაგრამ მან ვერ გამოიღო შესაფერი ნაყოფი. გადასახადებით სულშეხუთული მოსახლეობა ამ აღწერაში ბუნებრივათ ხედავდა ფარულ ფისკალურ დაჩაგვრის მისწრაფებას. თვით აღწერის გეგმაც ბევრათ უფრო ცალმხრივი და განსაზღვრული იყო, ვიდრე ეხლაა. გარდა ამისა იყო ცდა რევოლიუციის შემდეგაც საერთო აღწერების მოსაწყობათ და ერთი მათგანი 1920 წელში კიდევაც ჩატარდა რუსეთში, მაგრამ სამოქალაქო ომის და საერთო არევ-დარევის გამო ამ აღწერამ მიზანი ვერ გაამართლა.

დღეს საბჭოთა კავშირი სწრაფი ნაბიჯით მიექანება წინ აღორძინების გზით. დღითი-დღე ხელით შესახები და თვალით დასანახი ხდება ის უდიდესი მიღწევები, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ქალაქის და სოფლის მეურნეობაში. ჩვენ უკვე ბევრი აღარ დაგვრჩენია ომამდე არსებულ მდგომარეობამდე.

მალე ძველი რუსეთის ეკონომიურ მიღწევებს უკანაც მოვიტოვებთ. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის შესწავლას, მტკივანი და საღი მხარეების გამოაშკარავებას, რომ ყველაფერი ეს მიღებული იქნეს ანგარიშში მომავალ სამეურნეო მუშაობის დროს.

უამისოთ წარმოუდგენელია სწორი და გეგმაშეფარდებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობის უტყუარი წინსვლა. ამისათვის კი საჭიროა სტატისტიკა, ჩვენი სინამდვილის ციფრებით აღნუსხვა, მისი ცხრილებში და დიაგრამებში გადმოტანა.

მთელი მოსახლეობა შეგნებულობით და თანაგრძნობით უნდა შეხვდეს მომავალ აღწერების ჩატარებას. განსაკუთრებით დიდია აქ სოფლის ინტელიგენციის და მასწავლებლობის მნიშვნელობა. არც ერთი ადამიანი, არც ერთი მანქანა, არც ერთი შინაური ოთხფეხი არ უნდა დარჩეს ანკეტის ფურცლების გარეშე.

შ—ელი.

ეკონომიურ საბჭოში

ა/კ. რკინის გზებისათვის საჭირო ტრავეზებისა და ხე-ტყის მასალის დამზადების გარშემო

ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა:

1. ვინაიდან ა/კ. რკინის გზათა საჭიროებისათვის საქართველოში დასამზადებელი ხე-ტყის რაოდენობიდან საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტს თანახმად მისივე განცხადებისა, შეუძლიან დაამზადოს მხოლოდ 180.000 ცალი ტრავეზი და 200.000 კ.-ფ.-სატყეო მასალა, უფლება მიეცეს ა/კ. რკინის გზათა სამმართველოს დანარჩენი რაოდენობა, ე. ი. 220.000 ცალი ტრავეზი და 600.000 კ-ფ. სატყეო მასალა უშუალოდ დაამზადოს საქართველოს ტერიტორიაზე.

2. აუცილებლად იქნეს ცნობილი, რომ ა/კ. რკინისგზათა სამმართველომ მტკიცე ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტს იმ რაიონების ტრავეზებისა და სატყეო მასალის დამზადება, რასაც ეს უკანასკნელი ასრულებს.

3. უფლება მიეცეს ა/კ. რკინისგზათა სამმართველოს ტრავეზებისა და სატყეო მასალის დამზადება აწარმოოს იმ რაიონებში, რომელშიც იგი გასული წლის განმავლობაში მუშაობდა, სახელდობრ: ბორჩალოსა და ლეჩხუმის მაზრებში მთლიანად; თელავის მაზრის—კისისხევისა, ქისტაურისა, ვარდისუბნის და ახმეტას აგარაკებში; სიღნაღის მაზრის—მაზმიჩახის, აგურის ხევის და ლაგოდეხის ხევის აგარაკებში.

4. საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტს სიღნაღის მაზრის ხსენებულ სამ რაიონში უფლება ეძლევა აწარმოოს ძვირფასი ჯიშების (საექსპორტო) ხეების (ნიგოზი, ბზეი და კოპიტი) დამზადება.

5. დადასტურებულ იქნეს, რომ საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის დასამზადებელი ფასი თითო ტრავეზზე არ უნდა აღემატებოდეს 2 მან და 10 კ. დანარჩენ სატყეო მასალაზე კი ამ თანხას, რასაც დააწესებს ა/კ. შინავაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო.

6. რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქ. ტყის მრეწველობის ტრესტის მიერ ზემოაღნიშნული რაოდენობის ტრავეზებისა და სატყეო მასალის თავის დროზე დამზადება და ჩაბარება საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ ა/კ. რკინისგზის სამმართველომ მისცეს ტყის მრეწველობის ტრესტს ავანსი ხსენებული ტრავეზებისა და სატყეო მასალის საერთო ღირებულების 25 პროც. რაოდენობით.

საძოვრების საიჯარო გადასახადის წესრიგი

ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი საძოვრების აღრიცხვისა და ანგარიშების დავთრების ფორმები დაამტკიცა ეკონომიურმა საბჭომ.

ეთხოვა საქართველოს სახ. კომ. საბჭოს: ა) მიმართოს სათანადო ცირკულიარით სამაზრო აღმასკომებს, რათა ენერგიული ზომები მიიღონ საძოვრების გადასახადის აკრეფის საქმეში და ბ) გასცეს განკარგულება, რათა სასტიკად აკრძალულ იქნეს საძოვრების საიჯარო გადასახადის აკრება სხვა სალაროების მიერ, გარდა საძოვრების გამგეებისა, ხოლო უკეთუ ესა თუ ის მოიჯარადრე მოისურვებს თავისი ხვედრი საიჯარო გადასახადის უშუალოდ ადგილობრივ საფინანსო განყოფილებაში შეიტანოს, ეს უნდა მოხდეს განსაკუთრებული საგადასახადო მოწმობით, რომელსაც გასცემს ადგილობრივი საძოვრების გამგე თავისი ხელმოწერით.

სენაკ-მუხურის გზა

დაევალა გზატკეცილების სამმართველოს მოახდინოს სენაკ-მუხურის გზის წინასწარი გამოკვლევა და თავისი მოსაზრებანი მოახსენოს ეკონომიურ საბჭოს.

ქრონიკა

— **მალაკნის ქუჩის გაფართოება.** ტფ. კომუნალურმა განყოფილებამ დაამტკიცა მალაკნის ქუჩის გაფართოების გეგმა.

— **ტრამვაის ახალი რონოდები.** ტრამვაის სახელოსნო ახლო ხანში გამოუშვებს ახალ 20 მოტორიან და 10 მისაბმელ რონოდას.

— **ტრამვაიდან ყოველდღიური** შემოსავალი აღწევს 7.500 მან. გასულ წელს კი აღწევდა 3.000 მან.

— **შეღავათები გლეხთა ცენტრალურ სახლს.** ტფილისის აღმასკომმა დაადგინა გლეხთა ცენტრ. სახლს მისცეს მომავალ წელში იგივე შეღავათები, რომელიც მიმდინარე წელში ჰქონდა აღმასკომისაგან.

— **სინათლის გაყვანა.** ტფ. აღმასკომს განზრახული აქვს გაიყვანოს ელექტრონის სინათლე საბურთალოსა და ვაკეზე.

— **დროებით შრომის უნარდაკარგულებს** აგვისტოში ტფ. დამზღვევმა სალარომ აუნაზღაურა 2.700 გაცდენილი დღე.

— **საჯარო გასამართლება.** ტფ. დამზღვევ სალარომ დაადგინა მოაწყოს იმ დაზღვეულების საჯარო გასამართლება, რომლებმაც დასაზღვევი წიგნაკები დროებით სხვას ათხოვეს.

— **სადოსტაქრო იარაღები.** ჯანსახკომმა გერმანიიდან მიიღო ახალი, გაუმჯობესებული სადოსტაქრო იარაღები.

— **ხელახალი აღრიცხვა.** ა/წ. ოქტომბრის 1-ლიდან 30-მდე მედსანშრომის პროფ. კავშირის ც. ბ. მოახდენს კავშირის უმუშევარ წევრების, მოვარჯიშეების, არა სტიპენდიატ მოსწავლეების და შრომის კოლექტივებში მომუშავეთა ხელ-ახალ აღრიცხვას.

— **დაიბეჭდა** და იყიდება საქ. საგეგმო კომისიის მიერ გამოცემული „ჩვენი მეურნეობა 1924—25 წლის მესამე მეოთხედში (კონიუნქტურული მიმოხილვა), მოხსენება ამხ. კარბელაშვილის".

— **უზნეო სტუდენტების წინააღმდეგ ბრძოლა.** ამ ბოლო ხანებში სხვადასხვა პირები, რომელნიც თავიანთ თავს სტუდენტებს უწოდებენ, უწესოდ იქცევიან, ქუჩებში იხდენენ აყალმაყალს და სხ. და საქმე ხშირად სასამართლომდე მიდის. ასეთი მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად, სახ. უნივერსიტეტის გამგეობა სთხოვს ქალაქის მილიციას და საქართველოს საოლქო სასამართლოს ბრალმდებელს, როცა აღნიშნულ უნივერსიტეტის რომელიმე სტუდენტი ჩაიდენს რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულს, ან ზნეობრივად ვერსიტეტის გამგეობას, რათა უნივერსიტეტს საშუალება ექნეს ასეთ სტუდენტის წინააღმდეგ მიიღოს სათანადო ზომები.

— **ფიზკულტურის საბჭოს პლენუმი.** ორშაბათს 5 ოქტ. საღამოს 5 საათზე დანიშნულია ს. ს. ც. ა. კ-არსებულ ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს პლენუმის სხდომა. დღის წესრიგშია: 1) მოხსენება წარსულ მუშაობის შესახებ. 2) მომავალ მუშაობის გეგმა. 3) სრ. საქართველოს შეჯიბრი მძლეოსნობაში. 4) სამაზრო მუშაკების [illegible] შესახებ. 5) პრეზიდიუმის არჩევნები და სხვადასხვა.

— **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის 27 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია „წერკუმსის" სახელით მადლობა „ჩემოსადმი", სადაც აღნიშნული იყო, რომ „ჩემომ" წერკუმსს შესწირა 200 მ., უნდა იყოს—2000 მ.

შემთხვევები

— **თავის დაჭრა.** 28 სექტ. საღამოს 8 საათზე თავის ბინაზე საბჭოს ქ. № 36 მოქ. მარტიროსოვმა რომანიულ ნიადაგზე მძიმედ დაიჭრა ხანჯლით თავი.

— **ქურდი სტუმარი.** 28 სექტ. შეიპყრეს ლუსიკ აგვანიანი, რომელსაც რაისა ლიკაჩევისათვის (მცხოვ. მალაკნის ქ. № 12) სტუმრობის დროს 5 თვის წინეთ მოუპარავს შევიოტის საკაბე.

— **დედის მკვლელი.** 25 სექტ. საღამოს 5 საათზე სოფ. ყარათაფაში მოქ. მირ-ტამმ-მირ-ზეინალოღლმა წინასწარ განზრახვით თოფით მოჰკლა თავისი დედა კისხანუმ-ზეინულ აბდულ ქიზი. მკვლელი შეიპყრეს.

— **გაძარცვა.** 23 სექტ. სოფ. ცხვარიჭამიის მახლობლად „ტევრის ხევში" ყაჩაღებმა გაძარცვეს მე-6 ლეგიონის უიარაღო წითელარმიელები, რომლებსაც წაართვეს ტანისამოსი.

— **ქურდობა.** 27 სექტ. კახეთის მოედანზე გაქურდეს ზუმბათი ხაჩემოზიანცის სახაზე. წაიღეს სხვადასხვა ნივთები და მათ შორის მღვდლის ანაფორა და საცეცხლური.

— ამავე დღეს ნიკოლოზის ქ. № 43 იაკოფ თუქთიკოვს აივნიდან მოპარეს გასაშრობლად გაფენილი ტანისამოსი.

— **ქურდი ცოლი.** 28 სექტ. პანასკევიჩის ქ. № 13, ალექსანდრე ცრმიხანოვის ბინა, მისი [illegible] ყოფნის დროს, გაუქურდავს მისივე ცოლს [illegible] და მიმალულა.

მარცხი ტრამვაის ხაზზე

— 28 სექტ. დაახლოებით საღამოს 7 ს. ტრამვაის [illegible] მუშებს [illegible] დატვირთული რონოდა, რომელიც დაეჯახა ბლიხანოვის პრ. მომავალ სამგზავრო რონოდას № 2. დაჯახებისას რონოდა გადასცდა ლიანდაგს, რის დროსაც სასიკვდილოთ დაშავდა დარია დავითის ასული ჯავახიშვილი თავისი შვილით გუგულიათი. [illegible] დაშავდენ შალვა ჯაფარიძის მეუღლე და შვილი. [illegible] ვარაზიშვილი და [illegible].

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს ხუთ საათზე

ჩვენი რედაქციის ბინაზე დანიშნულია „კომუნისტი"-ს მუშკორთა

საგანგებო კრება

მუშკორებისათვის დასწრება სავალდებულოა.

ღირსეული პასუხი უღირს მუშებს

ხაშურის დეპოს მემანქანე ალექსი ჯავახაძეს და მის თანაშემწეს ალექსანდრე ნემსაძეს ა/წ. 28 აპრილს დასძინებიათ ორთქლმავალზე და მატარებელს, რომელიც მათ მიჰყავდათ, გაუჩერებლად ჩაუვლია სადგური ხარაგოული. ამის გამო აღნიშნული პირები გადააყენეს სამსახურიდან და მიცემული იქნენ სამართალში. მათ მიმართეს გზათა სახ. კომისარს ამხ. რუძუტაკს თხოვნით სასამართლოში საქმის გარჩევამდე მათი სამსახურში დაშვების შესახებ. ისინი სხვათა შორის აღნიშნავენ, რომ „რკინის გზაზე მათ უმსახურიათ თითქმის ნახევარი საუკუნე".

შუამდგომლობაზე ამხ. რუძუტაკმა დააწერა შემდეგი რეზოლიუცია: „მუშათა და გლეხთა მთავრობას არ შეუძლია იზრუნოს მხოლოდ ერთ რომელიმე მუშაზე, არამედ იგი ზრუნავს ყველა მშრომელებზე საერთოდ. თქვენი მოქმედება საფრთხეში აყენებდა ათეულ მოქალაქის სიცოცხლეს, რომელთა კეთილდღეობაზე აგრეთვე უნდა ზრუნავდეს მთავრობა. ის გარემოება, რომ თქვენ გაქვთ 50 წლის სტაჟი კიდევ უფრო ამძიმებს თქვენს დანაშაულს. ამის გამო თქვენი თხოვნა არ შეიძლება დაკმაყოფილებული იქნეს არც სასამართლოში საქმის გარჩევამდე და არც მის შემდეგ".

მოგვხედეთ და მოგვეშველეთ

ტფილისის ბევრი განაპირა ქუჩები მიტოვებულია უყურადღებოდ; მათ შორის მთაწმინდაში თავშესაფარის ქუჩა. ამ ქუჩაზე სიარული დაღამების შემდეგ ძლიერ სახიფათოა უსინათლობისა გამო და რომ დაზამთრდება შეუძლებელიც გახდება. ამ ქუჩაზე სცხოვრობს ღარიბი მოსახლეობა—მუშა-მოსამსახურენი. ქუჩების ქვაფენილები დანგრეულია და, ორმოებში ჩავარდნას, რომ გადაურჩე, ქუჩაში გადმოწეულ ღობისგან გვერდების და ტანისამოსის გაგლეჯას ვერ გადაურჩები. ყველაფერს რომ გადაურჩეთ, ამ ქუჩის ხროძაღლებს ვერ გადაურჩები, რომლებიც დაუნდობლათ იკბინებიან. აღმასკომო! მოგვაქციე ყურადღება და გადაგვარჩინე მოსალოდნელ ხიფათს.

მუშკორი ა. განიძე.

ჯანმრთელობის საკითხი ჩვენ მუშებში

(მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხებიდან)

„ჯანმრთელ სხეულში სულიც ჯანმრთელია"-ო—ამბობდენ ძველი რომაელები და მართლაც ეს ასე არის. თუ ადამიანის სხეული არის ჯანმრთელი და საღი, ჯანმრთელია და საღი მთელი მისი გონება-აზროვნება, გრძნობა და ნებისყოფა. ჯანმრთელ სხეულში შრომის უნარის მარაგიც მეტია. ჯანმრთელ ადამიანებს ახასიათებს: ოპტიმისტური მსოფლმხედველობა, მტკიცე ნება, ხასიათის მთლიანობა, მუყაითობა და მუდამჟამს ახალგაზრდული სიცხოველე და ხალისი ერთი სიტყვით ჯანმრთელობა არის ადამიანის ბედნიერება.

ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი ყურადღება მიქცეულია ჩვენი მუშების და მათი ოჯახების წევრთა გაჯანმრთელება-გაჯანსაღებისაკენ. ამისათვის იგი აარსებს საკავშირო რესპუბლიკების სხვადასხვა ბუნებით მდიდარ და ჯანმრთელობისათვის საუკეთესო კუთხეებში კურორტებს, სანატორიუმებს, ამბულატორიებს, საექიმო პუნქტებს, სხვადასხვა გვარ საავადმყოფოებს, დასასვენებელ სახლებს და სხ., სადაც ჩვენი მუშები ექიმობენ სრულიად უსასყიდლოდ.

მძიმე მუშაობისაგან დაღალ-დაქანცული მუშები ისვენებენ და ძალებს იკრებენ დასასვენებელ სახლებში, ავადმყოფნი კი იგზავნებიან სანატორიუმებში; დიდი მუშაობა სწარმოებს აგრეთვე ფიზკულტურის განსამტკიცებლად.

ჩვენი ნაკლი

ბევრი კეთდება ამ დარგში მაგრამ ბევრი ნაკლიც გვაქვს, რომლების გამოსწორება აუცილებელია. ჯერ ერთი რომ ჰიგიენას მუშის ოჯახში არ აქვს მიქცეული საკმაო ყურადღება; სანიტარული ექიმები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ მექანიურად, გულგრილად; ძალიან იშვიათად ნახულობენ მუშის კერას; ხშირად ჩვენი მუშების ბინები წარმოადგენენ უსუფთაობის ბუდეს, ვიწრო, ნესტიან უსინათლო ბუნაგებს, სადაც თავმოყრილია ხშირად 6—10 კაცამდე, სადაც არ არის დაცული არც ძილის, არც ჭამა-სმის და სხ. ჰიგიენა.

ბევრი ჩვენი მუშების ოჯახები დღესაც მძიმე ჰიგიენიურ პირობებში [illegible]იან. ეს კი განმანადგურებ[illegible] მათი [illegible] ჩვენი მუშების და [illegible]ლობაზე და ამ [illegible] ჯანმრთე[illegible] ხარჯებს სრულიად უნაყოფოდ [illegible] ჯანმრთელი მუშა, რომელიც [illegible] ხდება ამ საშინელ ვიწრო, ნესტიან, ბნელ სარდაფებში, უსათუოდ გამოესალმება თავის ჯანმრთელობას და მას შემდეგ ვერ უშველის ვერც კურორტები-სანატორიუმები, ვერც დასასვენებელი სახლები და ვერც უფასო ექიმობა-წამლობა.

[illegible]

ამიტომ დღის ამოცანად ჯანსახკომმა უნდა დაისახოს და უნდა მიიყვანოს კიდევ გადამწყვეტი ზომები მუშის ბინის, კვების, ძილის, [illegible] ჰიგიენის სათანადო დონეზე ასაყვანათ. ჩვენმა სანექიმებმა დაუზარებლივ და სისტემატიურად უნდა ნახონ ჩვენი მუშები მათივე ოჯახებში, შეისწავლონ მათი ოჯახური პირობები; უნდა ნახონ მუშათა ბინები დილით, [illegible] ჭამის, ღამით, თვეში ერთხელ მაინც. უნდა იცოდენ ჩვენმა სანექიმებმა, თუ რას წარმოადგენს მუშის ოჯახი დილას, საღამოს, ზაფხულ ზამთარში და სხ. და მისცენ მუშას სათანადო ჰიგიენური რჩევა-დარიგება და დახმარება.

ყველაფერ ამას უქნება უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი მუშების ჯანმრთელობის სათანადო სიმაღლეზე ასაყვანათ და განსამტკიცებლად; ასეთი მუშაობა უნდა გა[illegible].

[illegible]

გამოგზავნილი წერილებიდან

— **წადვერის აგარაკში.** წადვერში არის მოწაფეთა დასასვენებელი სახლი მე-80 შრ. სკოლის, სადაც მოწაფეთ ორი თვის განმავლობაში თამაშობის მეტი არაფერი გაუკეთებიათ. სასურველი იყო ხელმძღვანელთ უფრო უკეთესად მოეწყოთ ეს დრო და ექსკურსიების და საუბარის საშუალებით მოწაფეთათვის რაიმე ცოდნა მიეცათ.

მებრძოლი.

— **ეს საკითხი** უნდა გამოარკვიოს [illegible] და [illegible] კავშირმა [illegible], თუ რად ან [illegible] რომ 18 მე[illegible] [illegible] [illegible]

[illegible]

წერილები სოფლიდან

საპასუხო წერილების შესახებ

თითქმის არც ერთი მამხილებელი კორესპონდენცია, რომელიც კი იბეჭდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, უპასუხოთ არ რჩება შეურაცხყოფილ პირისაგან. სამართლიანია თუ არა კორესპონდენციაში წამოყენებული ბრალდება, მოწინააღმდეგე მხარე ვალდებულად თავს გაზეთის საშუალებითვე უპასუხოს წერილის ავტორს, ამით გაფანტოს ის დამსახურებული თუ დაუმსახურებელი ბრალდება, რომელსაც მას აწერენ პრესის საშუალებით.

რედაქცია ასეთ წერილებს ყოველთვის ყურადღებით ეპყრობა. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა ბოროტი განზრახვით ვინმე უღირსი კორესპონდენტი უმართებულოთ სცხებს ჩირქს ზოგჯერ კეთილსინდისიერ და პატიოსან საზოგადო მუშაკს.

გაზეთს, როგორც არა ადმინისტრატიულ, არამედ პოლიტიკურ-კულტურულ პროპაგანდის ორგანოს, არა აქვს საშუალება თვითეულ ასეთ შემთხვევაში გამოძიება აწარმოოს და შეამოწმოს კორესპონდენციაში აღნიშნულ ფაქტების სინამდვილე. უამისოთ საპასუხო წერილის დაბეჭდვა, თუ საზიანო არა, უსარგებლო იქნებოდა, რადგან ასეთ პასუხს შეიძლება განმეორებით მოჰყვეს კორესპონდენტის წერილი და გაიმართოს გაზეთის ფურცლებზე დაუსრულებელი კამათი. გამოცდილებით ვიცით, რომ ასეთი კამათი კიდევ უფრო მეტ გაუგებრობის ბურუსში ხვევს საკითხს და დამნაშავე მხარე ამით უფრო იგებს.

რაც შეეხება სამედიატორო სასამართლოებს, ამის შესახებ უკვე გვქონდა დასაბუთებული წერილი ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში, სადაც გასამართლების ეს ფორმა დრომოჭმულ და საბჭოთა საზოგადოებრივობის პირობებისათვის შეუფერებელ მოვლენად იყო აღიარებული.

ჩვენი სოფლები მდიდარია სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ორგანიზაციებით. არიან ადგილობრივ ხელისუფლების დაწესებულებებიც. თვითეულ ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს ამ ორგანიზაციებს და მათი შემოწმებით უპასუხოს მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს.

არც ერთი საპასუხო წერილი, რომლის შინაარსსაც დაადასტურებს გლეხკომი, პარტია, აღმასკომი ან სხვა ორგანიზაცია, უყურადღებოთ არ იქნება დატოვებული. საჭიროა მხოლოდ რაიმე დასაყრდნობი საბუთი, რომლის მიხედვითაც რედაქცია თავის მართლების საშუალებას მისცემს ყველა უდანაშაულოთ შეურაცხყოფილს, თუ კი ასეთს ექნება ადგილი.

ჩვენმა მუდმივმა მკითხველმა უკვე იცის, რომ უმეტეს შემთხვევაში ამ სახის საპასუხო წერილებს ვუთმობთ ჩვენ ადგილს გაზეთის ფურცლებზე.

ა. ბ—ლი.

წერილებიდან

ქუთაისი.

ავტომობილი მოქეიფეებს. რაჭის მაზრის თავმჯდომარე ამხ. წულუკიძე ავტომობილით ჩამოვიდა ქუთაისში და თბილისში გაემგზავრა. დარჩენილი მანქანა სამი დღის განმავლობაში მოქეიფეთა სახახანოთ გადაიქცა. იმდენი არბენინეს ავტომობილი ოლორო-ჩოლოროებში, რომ ბოლოს დაამტვრიეს და ამნაირათ სახალხო ქონება გააფუჭეს.

აღსანიშნავია, რომ მოქეიფეთა შორის, განსაკუთრებით [illegible] ყურადღებას თავის [illegible] [illegible] რაიკომის [illegible] [illegible] [illegible].

[illegible]

მ ც ხ ე თ ა

ზაჰესის შუქი სოფელს. თემის აღმასკომმა უკვე შეიძინა ბოძების საკმაო რიცხვი. ახლო მომავალში ჩვენს თემში გამოყვანილი იქნება ელექტრონის სინათლე. [illegible]

[illegible]

ს. ბახვი (გურია)

ეს გლეხკომის საქმე არაა. ადგილობრივ გლეხკომმა საწევრო გადასახადიდან, ორასი მანეთით, გახსნა კოოპერატივის გვერდით სავაჭრო, როგორც გამგეობა აცხადებს გლეხკომს 5—6 თვის განმავლობაში 100 მანეთზე მეტი მოუგია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გლეხკომს არ შეფერის ვაჭრობის წარმოება და მოგების აზარტით ასეთი გატაცება, მით უფრო, რომ ბახვში არის ბევრი გაუკეთებელი რამ, რისთვისაც პირველ რიგში უნდა მოეკიდნა ხელი გლეხკომს.

ბახველი მეთვალყურე

ზუგდიდი

ჩამოაშორეთ გლეხკომის სახელი. აქ არის გლეხკომის სამჭედლო. სამეურნეო იარაღების გაკეთების ფასი აქ უფრო მეტია, ვიდრე კერძო მჭედლებთან. გარდა ამისა გლეხკომის მჭედლები მუდამ მთვრალები არიან და გლეხობას უზრდელათ ეპყრობიან. [illegible] სამჭედლოს გლეხკომის სახელი, ან [illegible] მისი თანამშრომლები.

[illegible]

ს. პირველი [illegible] (ზუგდიდ. მ)

თვითმკვლელობა გახშირდა. ივლისის პირველ რიცხვებში ქვრივმა ქალმა სარტყლით თავი ჩამოიხრჩო თავის ეზოში. ორი თვის შემდეგ დაიკარგა კიდევ უცნობ-უკვლოთ ერთი ახალგაზრდა ქვრივი ქალი. [illegible] მილიცია შეუდგა დაკარგულის ძებნას, ერთმა 50 წლის გლეხმა საკუთარ ეზოშივე ჩამოიხრჩო თავი ბაწარზე. სამივე თვითმკვლელობა საიდუმლოებითაა მოცული. საჭიროა ფიცხელი და სასტიკი გამოძიება, ბოროტმოქმედების ფარდის ასახდელად.

[illegible]

სოფლის ქრონიკა

— **ახალი ქარხანა.** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა [illegible] შეუდგეს აგურხანის და წყალსადენის მილების საკეთებელ ქარხნის მოწყობას.

— **მიწის სასუქი.** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს ტორფის და მიწის სასუქის დამუშავება-დამზადებას. ტორფის ამოღება (ტორფი მზადდება როგორც სათბობ მასალას) იწარმოებს „ხანჩალის" ტბიდან.

გორის მაზრაში

— **აღმშენებლობა სოფლად.** [illegible]ესის სათემო აღმასკომმა დაადგინა სოფლების გამშვენიერების მიზნით შეუდგეს სოფლებში ძველი, საშიში შენობების დანგრევას და აგრეთვე გამოსცეს სავალდებულო დადგენილება, რომ ახალი შენობები შენდებოდეს საერთო გეგმით.

— **ტრაქტორის შეძენა.** [illegible] აღმასკომმა დაადგინა ადგილობრივი საკრედიტო ამხანაგობის საშუალებით შეიძინოს ერთი ტრაქტორი.

შემთხვევები სოფლად

დაჭრა. ბორჯომის მილიციის თანამშრომელმა კიკნაძემ უცაბედათ დასჭრა რევოლვერით, სამმართველოში ტელეფონზე მორიგე უფროსი თანამშრომელი არჩილ აბაშიძე.

დაცვა. ამას წინათ [illegible] ღამის 8 ნახ. საათზე სოფ. მარაბდის მცხ. მინადორა [illegible] აკულ სამადაშვილს დაეცნენ ორი შეიარაღებულნი და წაიღეს სხვადასხვა ნივთები ღირებული 205 მან. მიღებულია ზომები—ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად.

აფერისტის გაქცევა. 12 სექტემბერს ტყვიავის საგუშაგოს [illegible] შეიპყრო აფერისტი [illegible] სის ძე თურმანიძე, რომელსაც ეძებდა მაზრის ხელისუფლება, მაგრამ ის იმავე ღამეს გაიქცა, [illegible] შეუფერებლობის გამო.

მკვლელობა. თორტიზის კოოპერატივის გაქურდვის მიზნით შეიპყრეს სოფ. ახალსოფელში მცხ. ივანე მარანელი, რომელიც გზაში გადაყვანის დროს გაიქცა და მოკლულ იქნა დარაჯ [illegible]ბერიანიძის მიერ. [illegible] სწარმოებს.

შეურაცხყოფის მიზნით.—სოფ. ნაცარგორში მცხ. ოლინკა [illegible]შვილისას, მინდორში მუშაობის დროს, გაუპატიურების მიზნით [illegible] ს. დიდი-ფლავის მცხ. [illegible] ნოზაძე; რომელმაც თავისი [illegible] ვერ შეასრულა, [illegible] ლების გამო. [illegible] მობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

ქართული სიმფონიური მუსიკის საღამო

(დიმიტრი არაყიშვილის შემოქმედება)

კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის არტისტული ნიჭი უკვე დიდი ხანია გამოირკვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოუდგენს განსაკუთრებულ [illegible]ლურ ნიჭს. [illegible] საუკეთესო ნა[illegible] შოთა რუსთა[illegible] სავსეა მომჯადოებელი მელოდიებით. არაყიშვილის შემოქმედებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს რომანსს. როგორც სარომანსო ლიტერატურის შემქმნელი, არაყიშვილი შეიძლება მივაკუთვნოთ საუკეთესო შემოქმედთა რიცხვს მუსიკალური ხელოვნების ამ დარგში, საქართველოში მას ამ მხრივ ბადალი არა ჰყავს. მაგრამ ძალიან სამწუხაროთ მიგვაჩნია, რომ მის საღამოზე რომანსი სრულებით არ ყოფილა შესრულებული.

კონცერტის პირველ ნაწილს შეადგენდა კომპოზიტორის ახალი (ჯერ კიდევ დაუმთავრებელი) ოპერა „სიცოცხლე—სიხარულია“. შესრულებული იყო უვერტიურა, ორი ცეკვა და მარში. საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა ორივე ცეკვამ, რომელიც შესრულებული იყო ქართული სტილით. კარგია მარშიც, რომელსაც კვლავ საფუძვლათ უდევს ქართული სახალხო მელოდია. ეს გვხვდება სხვა ქართულ ოპერებშიც, მაგრამ არაყიშვილის შესრულებით [illegible]ის უ[illegible]ინტერესო და მრავალ[illegible]ვანია. ყოველგან საუკეთესოა ორკესტროვკა და რიტმის საინტერესო ჰარმონია. მეორე განყოფილებას შეადგენდა კომპოზიტორის ოპერის—„თქმულება შოთა რუსთაველზე“—პოეტური უვერტიურა და ბალეტი. სიმფონიური მუსიკის ცალკე ნომრებიდან დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს „ორმუზდის ჰიმნი“. ეს ჰიმნი სავსეა მომჯადოებელი მელოდიით და ჰარმონიით. განსაკუთრებით კარგია ჰიმნის საზეიმო ფინალი. არაყიშვილის ყველა ნაწარმოები შესრულებული იყო თვითონ კომპოზიტორის მიერ, რითაც ამ ნაწარმოებებმა უსათუოდ მოიგეს, რადგან კომპოზიტორი განსაკუთრებული დახელოვნებით გადმოქცევდა ნაწარმოებთა მუსიკალურ შინაარსს და იდეას. არაყიშვილი აუდიტორიამ დააჯილდოვა ხანგრძლივი ტაშით.

ვ. ბ.

— **კონცერტი.** დღეს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება საგანგებო მუსიკალურ-ვოკალური კონცერტი. მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

— **სახ. კონსერვატორიაში** მისაღები და შესამოწმებელი გამოცდები ვოკალურ ფაკულტეტზე, გადადებულია 1 ოქტომბრისათვის.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 29

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

1925/1926 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოსაანგარიშებლად კატეგორიების (თანრიგების) დაწესების შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 23 მუხლისა და მისივე ინსტრუქციის 53 პარაგრაფის თანახმად—საქართველოს სოც.-საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1925/26 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოსაანგარიშებლად საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში დაწესებულ იქნეს ცალკეული ავტონომიური ერთეულისა და მაზრისათვის შემდეგი კატეგორიები (თანრიგები) ზემოაღნიშნულ დებულებასთან დართული საგადასახადო განაკვეთის 6 ნომრის ცხრილისა:

აფხაზეთისათვის	5
აჭარისტანისათვის	6
სამხრეთ-ოსეთისათვის	5
ახალქალაქის მაზრისათვის	4
ახალციხის	5
ბ[illegible]ჩალოს	6
გორის	[illegible]
დუშეთის	5
სიღნაღის	6
თელავის	6
ტფილისის	4
ზუგდიდის	5
ქუთაისის	6
ლეჩხუმის	6
რაჭის	6
სენაკის	6
შორაპნის	5
ოზურგეთის	5

2. დადგენილება ესე დაეგზავნოს ყველა სამფინგანებს, თემაღმასკომებს და სოფლის საბჭოებს შესამჩნევ ადგილზე გასაკრავად და სოფლის ყრილობაზე გამოსაცხადებლად.

3. ამა დადგენილებით დაწესებული გადასახადის კატეგორიების (თანრიგები) შეცვლა არ შეიძლება საგადასახადო პერიოდის განმავლობაში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე: **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველი: **ალ. სალარიძე.**

1925 წ. სექტემბრის 29.
[illegible]ისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 30 სექტემბერს [illegible] [illegible]ული გამართება.

საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის პლენუმი.

ყველა წევრების, კანდიდატების, რაიკომების ბიუროების და კავშირთა ცენტრალური გამგეობის წევრების დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

— სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ მუშფაკის კომუჯრედის [illegible], რომ 30 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, მუშფაკის შენობაში შესდგება ქართულ მუშფაკის კომუჯრედის ბიუროს მორიგი სხდომა. ამისათვის ბიუროს ყველა წევრები და კანდიდატები უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

კომუჯრედის ბიურო.

— საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს დადია ელისაბედს გამოცხადდეს ამხ. კვირიკაძესთან.

— საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ-დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კუჭუხიძესთან: ცოტაძე კონსტანტინე [illegible] ძე, ნადარეიშვილი დავით ესტატეს ძე.

— საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. [illegible]შვილს იასეს გამოცხადდეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში 30 სექტემბერს დილის 10 საათზე.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს ამხ. კორძახიას (ქალაქის აღმასკომი), გეგეშიძეს და ბაქრაძეს (ლენინის რაიკომი) გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დილის 8 საათზე.

— ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 30 სექტემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე ქალაქის რაიკომის შენობაში გაიმართება საშეფო საზოგადოებათა საინიციატივო ბიუროების თათბირი. ის უჯრედები, სადაც საინიციატივო ბიურო მოწყობილი არ არის, აგზავნიან საშეფო კომისიების წარმომადგენლებს.

აღნიშნულ პირთა დასწრება სავალდებულოა.

ქალაქის რაიკომის საგიტ-საპროპ. განყოფ. გამგე—კუტუბიძე.

— საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. [illegible] ერვანდ მიხეილის ძეს გამოცხადდეს ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. საკოვთან.

— საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. წულაიას მიხეილს, ბაბასიანს და [illegible] გამოცხადდენ 1 ოქტომბერს, ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. საკოვთან.

— დღეს, 30 სექტემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე, საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის არსენალის რაიონის კლუბის შენობაში გაიმართება არსენალის [illegible] პოლიტგანათლების ერთიანი სისტემის სკოლების ხელმძღვანელთა ბიუროს თათბირი.

საკომკავშირო დისციპლინის ძალით წინადადება ეძლევათ შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ დაუგვიანებლად:

1. [illegible], 2. ავეტიკიან, 3. [illegible], 4. მოისეენკო, 5. ილიენკო, 6. ლევიტ, 7. ბაღიან, 8. რაზმან, 9. [illegible], 10. რუხაძე, 11. პატარაია, 12. დარახველიძე, 13. [illegible], 14. გოგოლაძე, 15. [illegible], 16. მახარაძე, 17. ნარსია, 18. ივანოვი, 19. [illegible], 20. კოვალევი, 21. არუთიუნოვა.

— ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს 30 სექტემბერს, 72 შრომის სკოლის შენობაში (ლერმონტოვის ქ.) გაიმართება 4 რაიონის საქალებათო კრება.

ყველა ქალთ-ორგანიზატორების და დელეგატ-ქალების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

— საქ. კომპარტიის ლენინის რაიკომის საგიტ-საპროპაგ. განყოფილება იწვევს 30 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში უჯრედების აგიტ-პროპაგანდის ორგანიზატორთა თათბირს.

ყველა აგიტ-პროპ. ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი: 1) პოლიტსკოლების მუშაობის გაერთიანების საკითხი.

ლენინის რაიკომის საგიტ-საპროპ. განყოფ. გამგე—ბუდაგაძე.

განცხადებები

1925 წელს 28 სექტემბერს, გარდაიცვალა ილია ჭეჭავაძის და

ელისაბედ გრიგოლის ასული საგინაშვილისა

რასაც გულ-მწუხარეთ აცნობებს, ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, განსვენებულის მიერ მშობლიურად აღზრდილი [illegible] ([illegible]) ზურაბის ასული [illegible]ანისა. პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე ნიკოლოზის ქუჩა № 7. გამოსვენება [illegible] და დასაფლავება იმავე დღეს, ღვთის მეტყველის ეკლესიაში.

2687 1—1

[illegible]ური ემიგრანტი. თბ[illegible]

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი აუწყებს კავშირის წევრებს, რომ ორშაბათს, 28 სექტემბერს, ნაშუადღევის 5 საათ[illegible] გარდაიცვალა ილია ჭეჭავაძის და

ელისაბედ გრიგოლის ასული საგინაშვილისა

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი № 7. გამოსვენება კვირას 4 ოქტომბერს, დილის ათ (10) საათზე ქაშუეთის ეკლესიაში და დასაფლავება იმავე დღეს ღვთის მეტყველის ეკლესიაში.

2687 1—1

ცოლი—ელისაბედ ალექსის ასული ჟორჟოლიანი შვილებით: ანიკო და ნიკოლოზით, სიძე ანტონ გრიგოლის ძე დ და—პელაგია სპირიდონის ასული მაჭავარიანები, სიდედრი დარია ალექსის ასული და სიმამრი ალექსი პეტრეს ძე ბარბაქაძეები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 3 ოქტომბერს, დღის 11 საათზე სოფ. მაღლაკში (ქუთაისის მაზრა) წმ. ოქონის სახელობის ეკლესიის გალავანში გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი გარდაცვალებულ

სოლომონ სპირიდონის ძე ჟორჟოლიანის

2681 სულის მოსახსენებლად. 1—1

---

21 სექტემბერს ქ. ბერლინში გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ექიმი

სიმონ ივანეს ძე ხეჩინოვი

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ღრმად დამწუხრებული პირისუფალნი: შვილები—ექიმი ნიკოლოზ ხეჩინოვი, მარიამ მარგველაშვილისა, ოლღა მაღლაკელიძისა, რძალი ოლღა ხეჩინოვისა, სიძეები—ტიტე მარგველაშვილი და მიხეილ მაღლაკელიძე, ცოლის—და ნინა აბაშიძისა, ძმები—კონსტანტინე და იოსებ ხეჩინოვები, დები: მარიამ ბეთანოვისა, ემილია ნაზაროვისა და ანასტასია დავრიშოვისა. პანაშვიდი გადახდილი იქნება ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში, შაბათს 3 ოქტომბერს, საღამოს ხუთ საათზე. დაკრძალვის დღე ქუთაისში იქნება გამოცხადებული ჩამოსვენების ნებადართვის შემდეგ.

1—1 2673

დავით გრიგორის ძე და ანასტასია ვლადიმერის ასული პაპიტაშვილები შვილებით, თამარ გრიგორის ასული და ალექსანდრე ანდრიასძე ტოვსტონოგოვები შვილებით, აუწყებენ, რომ ა/წ. 1 ოქტომბერს 4 ნახ. საათზე, კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი მამის, სიმამრის და პაპის

გრიგოლ ნიკოლოზის ძის პაპიტაშვილის

მოსახსენებლად. 1—1 2680

გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, და ექსპედიცია აცხადებენ

ყველა

კონტრაგენტებისა და კიოსკების საყურადღებოდ,

რომ საანგარიშო წლის დასრულების გამო მათ ევალებათ გადმოუგზავნონ 5 ოქტომბრამდე ყველა დარჩენილი გაუყიდავი გაზეთები, ჟურნალები და წიგნები, რომელნიც აქვთ მათ მიღებული ჩვენგან ა/წ. სექტემბრის თვის დამლევამდის.

ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, არც ერთი ცალი გაზეთი და წიგნი არ იქნება მიღებული.

5—4

გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა და ექსპედიცია

ამით აცხადებენ ყველა იმ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებსაც მოტანილი აქვთ ჩვენთან წიგნები და ჟურნალები გასაყიდველებლათ, გამოცხადდენ საანგარიშო წლის დასრულების გამო კანტორაში 15 ოქტომბრამდე ანგარიშების გასასწორებლათ. ვინც აღნიშნულ ვადამდე არ გამოცხადდება, კანტორა მათთან ჩასთვლის ანგარიშს გასწორებულათ და ამის შემდეგ არავითარ პრეტენზიებს არ მიიღებს.

5—4 კანტორა.

სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზი

დღეს, 30 სექტ., განსაკუთრებული მუსიკალურ-ვოკალური

კონცერტი

სახელმწ. ოპერის მსახიობთა მონაწილეობით

ლ. კავსაძე,
გ. ვეხიძე,
ხ. ელ[illegible]შვილი,
გ. ქარცივაძე,
ი. ბროდსკი (სკრიპკა)
კ. ჯანუმოვი (ვიოლინი)
ლ. პრივალოვი,
ბ. შავერდოვი,
ხ. ერანოვი,
ს. სერგეევი (ბალეტი)
გ. ბარხუდაროვი (ბალეტი)
ნ. ბუდკევიჩი,
[illegible] ოლეინიკოვა,
ვ. ვლადისლავსკაია,
ე. ფაინერი,
ო. გილბერტი,
ვ. კვიციანიძე,
გ. კაზინეც.

როიალთან მ. ანდრონიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

რწმუნებული ნიკ. ჟაროვი.

ბილეთები იყიდება დილის 11—2 საათ.
საღამოს 6—10 საათამდე. ნ. 1778 1-1

გაზ. „კომუნისტი“

ხელისმომწერთა საყურადღებოდ ცხადდება შემდეგი:

1. **კოლექტიურ ხელისმომწერთა სიაში** სახელი, გვარი და მისამართი ხელისმომწერისა აუცილებლივ **მარკვევით** და **სწორად** უნდა იყოს **აღნიშნული.**

2. **ყოველგვარი ცნობების მისაღებად** (გაზეთის მიუღებლობა, დაგვიანება და სხვა) უთუოდ მთავარ კანტორას უნდა წარედგინოს **ქვითარი, ან ეცნობოს ამ უკანასკნელის №,**

3. **კოლექტიურ ხელისმომწერთა სიები** აუცილებლივ წარმოედგინოს მთავარ კანტორას თავის დროზე (ყოველთვის 25—29 რიცხვამდე), ადგილობრივ ორგანიზაციის მიერ შემოწმებული.

4. **გაზეთებ[illegible]ოწერის დროს** აუცილებლივ **გადახდილი უნდა იქ[illegible]ლი წლის ვალი მთლიანად.**

[illegible]რაგენტ[illegible] და **პროვინციის ხელისმომწერთა მიერ გაზეთების დაკვეთა** [illegible] თვის დამლევამდე აუცილებლივ მთავარ კანტორის [illegible].

5. **გაზეთის მიუღებლობის შესახებ** უნდა ეცნობოს მთავარ კანტორას დაუყოვნებლივ და არა თვის ბოლოს, რადგან [illegible].

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

ამიერ-კავკასიის რკინის გზების

სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1925 წ. 1 ოქტომბრიდან—შემოღებული იქნება სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის შემდეგი

ზამთრის ცხრილი

ცხრილი სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის ცხრილი

1925 წ. 1 ოქტომბრიდან მატარებლები, რომლებიც გადიან თბილისიდან

ჩქარი მატ. № 1 გადის მოსკოვში	23 ს. 55 წ.	ორშაბათით და ოთხშაბათობით	მიდის მოსკოვში	16 ს. 45 წ.	პარასკ. და კვირაობით
„ მატ. № 1 „ ლენინგრ.	23 ს. 55 წ.	კვირაობ.	„ ლენინგრადში	10 ს. 40 წ.	პარასკევობით
სამგზ. „ № 3 „ როსტოვში	9 ს. 25 წ.	ყოველდ.	„ როსტოვში	3 ს. 30 წ.	ყოველდღე
„ „ № 3-ე გად. ჯულფაში	13 ს. 00 წ.	„	„ ჯულფაში	22 ს. 25 წ.	„
სამგ. „ № 4 „ ბათომში	22 ს. 55 წ.	„	„ ბათომში	8 ს. 00 წ.	„
სამ. „ № 3 კახ. გად. თელავ.	23 ს. 25 წ.	„	„ თელავში	7 ს. 30 წ.	„
სამგზ. „ № 7 გად. ბაქოში	14 ს. 40 წ.	„	„ ბაქოში	7 ს. 15 წ.	„
„ „ № 8 „ ბათომში	16 ს. 30 წ.	„	„ ბათომში	[illegible] ს. 35 წ.	„
„ „ № 10 „ ფოთში	20 ს. 00 წ.	„	„ ფოთში	9 ს. 35 წ.	„
„ „ № 16 „ ხაშურში	7 ს. 50 წ.	„	„ ხაშურში	12 ს. 25 წ.	„
„ „ № 20 „ ბორჯომში	15 ს. 00 წ.	„	„ ბორჯომში	21 ს. 05 წ.	„
საბ.-სამგ. მ. № 21 „ ბაქოში	19 ს. 20 წ.	„	„ ბაქოში	23 ს. 55 წ.	„
საბ.-სამგ. მ. № 22 „ ბათომში	0 ს. 15 წ.	„	„ ბათომში	22 ს. 25 წ.	„
საბ.-სამგ. მ. № 21-ე „ ერევანში	7 ს. 35 წ.	„	„ ერევანში	8 ს. 10 წ.	„
საბ.-სამგ. მ. № 21-კახ. გად. წნორ-წყ.	9 ს. 00 წ.	„	„ წნორის-წყალში	17 ს. 55 წ.	„

მატარებლები, რომლებიც მოდიან ტფილისში

ჩქარი მატ. № 2 გამოდის მოსკოვიდან	13 ს. და 10 წ.,	სამშაბათ. და ხუთშაბათობით	მოდის ტფილისში	5 ს. 45 წ.	შაბათობით [illegible]
„ „ № 2 „ ლენინგრადიდან	23 ს. 00 წ.	კვირაობით	„ „	5 ს. [illegible]	პარასკევობით
სამგზ. მ. № 4 როსტოვიდან	23 ს. 50 წ.	ყოველდღე	„ „	21 ს. [illegible]	ყოველდღე
„ „ № 3 ბათომიდან	17 „ 00 „		„ „	7 ს. 40 წ.	„
„ „ № 4 დ ჯულფიდან	6 „ 35 „	„	„ „	11 ს. 30 წ.	„
„ „ № 4-კახ. თელავიდან	9 „ 30 „	„	„ „	17 ს. 50 წ.	„
სამგზ. მ. № 7 გამ. ბათომიდან	0 ს. 15 წ.	ყოველდღე	„ „	13 ს. 10 წ.	„
„ „ № 8 „ ბაქოდან	21 ს. 15 წ.	„	„ „	14 ს. 50 წ.	„
„ „ № 9 „ ფოთიდან	15 ს. 45 წ.	„	„ „	5 ს. 30 წ.	„
„ „ № 15 „ ხაშურიდან	16 ს. 30 წ.	„	„ „	20 ს. 45 წ.	„
„ „ № 19 „ ბორჯომიდან	0 ს. 45 წ.	„	„ „	6 ს. 50 წ.	„
საბ. სამგზ. მატ. № 21 გამ. ბათომ.	5 ს. 10 წ.	„	„ „	3 ს. 35 წ.	„
„ № 22 გამ. ბაქოდ.	7 ს. 00 წ.	„	„ „	13 ს. 15 წ.	„
„ მატ. № 22-ე გამ. ერევნიდან	21 ს. 15 წ.	„	„ „	22 ს. 00 წ.	„
„ № 22-კახ. და წნორის-წყალიდან	19 ს. 35 წ.	„	„ „	6 ს. 10 წ.	„

შენიშვნა: 1) მატარებლების გასვლა და მოსვლა ნაჩვენებია მოსკოვის დროის მიხედვით (24 საათის ანგარიშით); მოსკოვის დრო ადგილობრივი დროს ჩამორჩება ერთი საათით. 2) დამატებითი ჩქარი მატარებელი № 1 და № 2 მოსკოვი—ტფილისი პირველად მოვა მატ. № 2 ტფილისში ზამთრის ცხრილის მიხედვით შაბათს 10 ოქტომბერს და უკან გავა ტფილისიდან მოსკოვში მატ. № 1 ორშაბათს 12 ოქტომბერს და სხვა აღნიშნულ დღეებში. 3) მატ. №№ 9 და 10-თან ყოველდღე დადის 3 ვაგონი პირდაპირ ტფილისიდან ქუთაისში. 4) ზამთრის ცხრილზე გადასვლის გამო, 30 სექტემბერს მატ. № 10 ტფილისიდან ფოთში გავა ახალი ცხრილის მიხედვით და მატ. № 22 ტფილისიდან ბათომში იმავე 30 სექტემბერს უქმდება და ეს მატარებელი გავა 1 ოქტომბერს ახალი ცხრილის მიხედვით. 5) სადგურებს შორის არსებულ ბაქნებზე გაჩერება ტფილისიდან ხაშურამდე უბარგო მგზავრების ჩასასხდომათ და ჩამოსასხდომად, ექნება მხოლოდ მატარებლებს, №№ 15, 16, 19 და 20, დანარჩენ მატარებლებს აღნიშნულ ბაქნებზე გაჩერება არ ექნებათ. 6) რბილ ადგილებიანი ვაგონები მიბმული იქნება შემდეგ მატარებლებზე: №№ 1 და 2 თბილისი-მოსკოვი-ლენინგრადი, №№ 3 და 4—თბილისი-როსტოვი, №№ 3 და 4—თბილისი-ჯულფა №№ 3 და 4—ტფილისი-ბათომი და 7 და 8—თბილისი-ბაქო და თბილისი-ბათომი. ყველა ამ მატარებლებში რბილი ადგილები დანომრილია—დასაწოლად, ხოლო მატარებლები № 3 და 4 თბილისი-თელავი №№ 9 და 10 თბილისი-ფოთი და №№ 19—20—თბილისი-ბორჯომი, რბილი ადგილები დანაწილებულია დასაჯდომად.

ნის. 1775—[illegible]

[illegible] 1—1 [illegible]

ბაზრობა

რომელიც გაგრძელდება ერთ თვეს.

7—6 ნ. 1725 ბაზრობის კომისია.

სრულიად საქართველოს შინამრეწველ-ხელოსანთა პირველი ყრილობის მომწყობი საორგანიზაციო კომისია

ამით აცხადებს: ქ. ტფილისის შინამრეწველ-ხელოსანთა საზოგადოების წევრები ირჩევენ თავიანთ დელეგატებს, აღნიშნულ ყრილობაზე შემდეგი წესით:

მეპურეთა ცხი	30 ენკენისთვეს	საღამოს	7	საათზე
მეტყავეთა „	1 ოქტომბერს	„	7	„
ხეზე მომუშავეთა ცხი	2 ოქტომბერს	„	7	„
ფოტოგრაფები	2 ოქტომბერს	„	7	„
ნემსი „	4 ოქტომბერს	დილის	10	„
მელითონეთა „	4 ოქტომბერს	„	10	„
დალაქთა „	6 ოქტომბერს	საღამოს	7	„
შერეული „	6 ოქტომბერს	„	7	„
4-ცხი „	7 ოქტომბერს	„	7	„

არჩევნები შესდგება შინამრეწველ-ხელოსანთა საზ-ბის შენობაში, პლეხანოვის პროსპექტზე № 66.

1—1 ნ. 1777 საორგანიზაციო კომისია.

თანახმად [illegible] 17 სექტემბრის სხდომაზე მიღებულ დადგენილებისა,

ცხადდება ბიუროსა და ქვე-სექციის წევრთა საყურადღებოდ, რომ ბიუროს სხდომები დანიშნულია ყოველ კვირაში, შაბათობით, დღის 1[illegible] საათზე, ხოლო ქვე-სექციის სხდომები—ყოველ ხუთშაბათს, საღამოს [illegible] საათზე.

ჯანმრთელობის განყოფილება.

2—2 ნ. 1776

საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობ[illegible]

აცხადებს, რომ ა/წ. 4 ოქტომბერს დილის 10 საათზე მის [illegible] [illegible]ბელის მოედანი № 4 თანახმად ბანკის წესდების 42 მუხლისა [illegible]

საჯარო ვაჭრობით

გაყიდვა ბანკში დაგირავებული—ლანჩის, ფეხსაცმლის, ტყავეულის, ქიშმიშის, შალეულობის და სხვა საქონლის.

1—1 ნის. 1779

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარ[illegible]

აცხადებს, რომ ის 1 ოქტომბერს 1925 წ. საათის 11, [illegible] ზევით, საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის კონსტანტინე [illegible] ქონებას: საინებს, დანაჩანგლებს, სუფრებს, მაგიდებს, [illegible] ლენძის ქვაბებს, ვაზებს, ბოთლებს, კალათებს, [illegible] სხვა, შეფასებულს 221 მან. 60 კ. დასაკმაყოფილებლად [illegible] რისა 554 მან. 64 კ. ვაჭრობა დაიწყება თავისუფალ ფასიდან.

1—1 2686.

გაფრთხილება გაფრთხილება

ნამდვილ „სეკარის სითხე-ს“ ლაბორატორიიდან

გალენ-მოსკვა

უნდა ჰქონდეს აუცილებლად მწვანე ბანდეროლი წარწერით

КОНТРОЛЬ **СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ** генеральное представительство в ЗСФСР, Тифлис пл. Своб. № 2

უბანდეროლოთ და უწარწეროთ „სეკარის სითხის“ პრეპარაციის სინამდვილისათვის ჩვენ არა ვართ პასუხისმგებელი, და ამიტომ მოითხოვეთ უსათუოდ ბანდეროლით და ზემოაღნიშნული წარწერით. იმ შემთხვევაში, თუ ვერ იშოვით სეკარის სითხე მწვანე ბანდეროლით, მიმართეთ უშუალოთ მთავარ საწყობში. **წერილები, შეკვეთა და ფულები უნდა გამოგზავნოთ შემდეგი მისამართით:**

კოოპერატივ „გალენი“-ს, წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიაში, ტფილისი, თავისუფლების მოედანი № 2 განყოფილება 3.

Зак. представ. кооператива „ГАЛЕН“ Тифлис, площадь Свободы № 2, отд. 3

მთავარ საწყობიდან გაიგზავნება 25 პროც.-ის ბეს მიღების შემდეგ არა ნაკლებ 4 ფლაკონისა

ფლაკონის ფასი 2 მან. 50 კაპ.

სეკარის სითხე დიდი წარმატებით იხმარება: ნევრასტენიის, საერთო და სქესობრივ უძლურებ[illegible]ს, ძალების დასუსტების, დაქანცულობის, სისხლნაკლებობის, არტერიოსკლეროზის, რევმატიზმის, ხერხემლის ავადმყოფობის (сухотка), მოხუცებულობის ნიადაგზე კაჟმლურების დროს, მძიმე ავადმყოფობათა: ათაშანგის, ტიფის, მშობიარობის, სისხლის დაკარგვის, ოპერაციების და სხვ. შემდეგ.

ზრდუნ-სეკარის სითხის დამზადება და გამოშვება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ნებადართული აქვს მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივ „გალენ-მოსკვა“-ს ქიმიურ-ფარმაცევტულ ლაბორატორიის ორგანო-თერაპევტიულ განყოფილებას

ავადმყოფებს რომელნიც არ იცნობენ სეკარის სითხის მოქმედებას, ვურჩევთ ამოსჭრან ეს განცხადება და წარუდგინონ რომელიმე ექიმს დარიგების მისაღებად.

ყველა ექიმები ვინც სეკარის სითხის ხმარება სცადა ავადმყოფებზე, უაღრესად კმაყოფილი არიან **ყველა ექიმები**

სეკარის სითხე ნებადართულია ჯანმრთელ. სახ. კომისარ. მიერ № 8362

სეკარის სითხე ტფილისში იყიდება აფთიაქების სამმართველოს, სახელმწ. სამედ. ვაჭრობის სამმართველოს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქებში და მაღაზიებში. ნ. 1740 0—4

ექიმი **ვ. ა. [illegible]**

დაბრუნდა და განაახლა [illegible] ღება შინაგან და [illegible] 4—6 საათამდე, ლენინის ქ. [illegible] ქ.) № 7., ზემმელის [illegible]

დავკარგე პირადობის მოწმობა [illegible] ციდობის ბარათი, მილიციის [illegible] რაზმის უფროსისაგან, ახმეტ [illegible] ოღლის სახელზე. ჩ. ბ.
2685 1—[illegible]

დავკარგე დამხმარე [illegible] სევერიანე ტურზელიძეს სახელზე. ჩ. ბ.
26[illegible] 1—1

დავკარგე პარტბილეთი № 4974[illegible] გრიგორ მეუნარგიას სახელზე. ჩ. ბ.
268[illegible] 1—1

დავკარგე ფოთის სატრანსპორტო პროფკავშირის წიგნაკი, [illegible] წიგნაკი № 1150 და [illegible] კირილე სეფერთელაძეს სახელზე. ჩ. ბ.
2685 1—1

დავკარგე [illegible] № 690 დიმიტრი ჯაფარიძის სახელზე. ჩ. ბ.
2679 1—1

დავკარგე [illegible] მოწმობა [illegible] შიას სახელზე. ჩ. ბ.
2678 1—1

დავკარგე მოწმობა [illegible] ტარულ ტექნიკუმიდან კონსტანტინე [illegible] ნის ძე პერანიძის სახელზე. ჩ. ბ.
2672 1—1

დავკარგე პირადი [illegible] № 2515 [illegible] სონ თომას ძე [illegible] სახელზე ჩ. ბ.
267[illegible] 1—1

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 1358[illegible] ილია ტატიშვილის სახელზე. ჩ. ბ.
2677 1—1

დავკარგე მელ[illegible] [illegible] საგუმიანის სახელზე № 2826[illegible] ჩ. ბ.
2671 1—1

[illegible]ბა „ზარია-ვოსტოკა“-ს [illegible] [illegible]ძის ქუჩა № 1